

140  
1981


ISSN 0182 - 5977

ՀԱՅԿԵՍՏԱՆԻ  
ՅՈՒՐԵՆԻԿԱՆԵՐ



# ՀՅՈՒՐԵՆԻԿԱՆԵՐ

**3**  
1981



# ს ა მ უ რ ა ჯ ლ ო ს ქ ა ლ ა ლ ი ჯ ი ლ ო ს



ბავშვებო, ბევრმა თქვენთაგანმა ალბათ უკვე იცის, რომ 5 მარტს კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა სამშობლოს მაღალი ჯილდო გადასცა ჩვენი რესპუბლიკის კომუნისტა მეთაურს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძეს, რომელსაც სამშობლოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

როგორც ლეონიდ ილიას ძემ ჯილდოს გადაცემისას თქვა, ე. ა. შევარდნაძემ „თავი გამოიჩინა, როგორც ქართველი კომუნისტების ნაცადმა ხელმძღვანელმა. ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობა, გაბედულება წამოჭრილ ამოცანათა გადაწყვეტისადმი მიდგომაში, ინიციატივა და ახლის გრძნობა, პრინციპულობა და პათოსი — აი ის თვისებები, რომელმაც მას ავტორიტეტი შეუქმნა რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთ“.

საბასუხო სიტყვით ე. ა. შევარდნაძემ მადლობა გადაუხადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, პირადად ლ. ი. ბრეჟნევს და თქვა, რომ ეს ჯილდო არა მარტო პირადად მისი, არამედ მთელი რესპუბლიკის ჯილდოა და ავცი-

რგინებს რესპუბლიკის ყველა მოქალაქის თავდადებულ შრომას. ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ აღუთქვა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ მეთერთმეტე სუთწლეულში საქართველო კვლავ შეიტანს მნიშვნელოვან წვლილს საერთო-საქავშირო დოვლათის გადიდების საქმეში.

„რაც უფრო მაღალია შეფასება, — თქვა შემდეგ ე. ა. შევარდნაძემ, — მით უფრო უძლიერდება კომუნისტ თვითკრიტიკულობის, თავმდაბლობის, საკუთარი თავისა და სხვებისადმი მომთხოვნელობის გრძნობა, დასახულ ამოცანათა განხორციელებებისათვის დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა. და რესპუბლიკის კომუნისტების სახელით გაძღვეთ მტკიცე პირობას: ამ პრინციპებს არასოდეს ვუღალატებთ!“.

ბავშვებო! ქართველი პიონერები მუდამ მხარში ედგნენ უფროსებს, აქტიურად მონაწილეობდნენ ახალი ცხოვრების მშენებლობაში. იმ ხვასა და ბარაქაში, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა მეთათე სუთწლეულში შექმნეს, თქვენი შრომი ნაწილიც დევს, და ექვი არავის ეპარება, რომ მომავალშიც ივლით უფროსი მეგობრების მხადრდამხარ, გაამართლებთ იმ დიდ იმედს, რომელსაც სამშობლო თქვენზე ამყარებს, იწავლით ბეჯითად, კვლავაც ამრავლებთ ქვეყნის სიკეთეს!



# სსკკ XXVI ყრილობა ითქვა



ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში მარად ღირსშესანიშნავ მოვლენად დარჩება სსკკ XXVI ყრილობა. ყრილობისა-დმი სსკკ ცენტრალური კომიტეტის სანაგარიშო მოხსენა-ებად, რომელიც გააკმთა საბჭოთა კავშირის კომუნის-ტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განკარალურება მღივანება ლეონიდ ილიას ქა ბრეჟნევიმ, ყრილობის ის-ტორიულმა გადაწყვეტილებებმა აღაფრთოვანეს ყვე-ლა საბჭოთა ადამიანი, დიდი და პატარა, ახალი ენერ-გიით აღაყვანეს საფოოლოო საკეთილდღეო გრანდიო-ზული ამოცანების გადაკრისათვის, კომუნისტიკის გაგარ-ჯვებისათვის, მფვილობის განეტიკივებისათვის.

საბოოთის გედნიერი მოზარდი თაოების სულისკვე-თებაა გამოსატული სსკკ XXVI ყრილობის დელებატე-ბისა და სტუმრების მისასალმებლად ყრილობაზე მისულ საბჭოთა ახალგაზრდების წარმოგადგანელების, მათ შო-რის კიონერთა სიტყვებში:

ლენინური გზებით მივიწვევთ მალლა, საბჭოთა ქვეყნის ყოველი შვილი, ყველა ჩვენგანი ოცნებობს ახლა-რომ შეიტანოს ნვლილი ხუთწლედში, კიონერული შრომითი ნვლილი.

16. 822



ჩვენ უკვე მივადნიეთ დიდგნიშვნელო ვან მიჯნას — დამთავრდა სავალდებულო სა-ყოველთაო საშუალო განათლებაზე გადას-ვლა. დღეს მთავარი ის არის, რომ ავაგად-ლოთ სკოლებში სწავლების, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის ხარისხი, აღკვეთოთ ფორმალისმი მასწავლებაღთა და მოსწავ-ღეთა შრომის შედეგების შეფასებაში, საქ-მით განვამეტიკოთ ცხოვრებასთან სწავ-ლების კავშირი, გავაუმჯოგანოთ საზოგა-დოებრივად სანარგებლო შრომისათვის სკო-ლების მოსწავღეთა მოგზადება. აქ, რა თქმა უნდა, უმთავრესი როლი მასწავღებელმა უნდა შეასრულოს. გზრუნველობა არ უნდა მოვალღოთ მის შრომას, ყოფა-ცხოვრებას, კვალიფიკაციის აგადლებას. მავრამ ამას-თანავე იზრდება მათი გუშაოებისადმი მოთხოვნებიც.

ლ. ი. ბრეჟნევი.

სსკკ ცენტრალური კომიტეტის ანგარიშიდან საბოოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობისადმი.



სსკკ ცენტრალური კო-მიტეტის განკრალური მღივანი, სსრ კავშირის უგადღესი საბოოო კრე-ზიღიუმის თაგვეღოგარე აგხ. ლ. ი. ბრეჟნევი ჯიღღოო გადასღეეს სსკკ ცენტრალური კომიტეტის კოლიტბიეროს წავკო-ბის კანდიღატს, საქარტ-ველოო კოგაკრტიის ცენ-ტრალური კომიტეტის კირველ მღივანს აგხ. ბ. ა. შეკარღნაქეს.



კ. მარქსის ხახ. საქ. ს. სახელმწიფო... ვიგლიოს...

**ნიწო ხაკაიშივილი**



ძალი ზამთარია ახლა მთაში. თოვას დაუბურუსება მთებს იქით გაკიდულ ჰორიზონტამდე მიღული თვალსაწიერი. მაინც თბილი დღეა ქალაქში. სამხრეთული ზამთრის თბილი დღე.

სწორედ რომ კარგ დროს მოვედით კომკავშირის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტში. ოლქის პიონერული ორგანიზაციის მესვეურებს ის იყო დაეკამებინათ და აღენუსხათ გაკეთებული, ჩაენიშნათ გასაკეთებელი. დაეგეგმათ მომავალი საქმიანობა.

**ის, რასაც  
ჩვენ  
ჩვენთვის**

**აღმოაჩვენებს**

ასე რომ, ოლქის პიონერული ორგანიზაციის ცხოვრებაში ეს დღე მეტად საგულისხმო იყო.

ჩვენი საუბარი თანდათან დაკონკრეტდა. ციფრებით და ფაქტებით დაიტვირთა, ნათქვამ-ნახულით დასურათდა.

12 000-ზე მეტ პიონერს აერთიანებს ოლქის 89 პიონერული რაზმეული, მათგან 25 მარჯვენაფლანგელია. ეს ამბავი გვამცნეს კომკავშირის საო-

პეპავილავი თავს უჩვენია ცხინვალის მე-7 საშუალო სკოლის მარჯვენაფლანგელს. ნორა მუხამბაძეს თამარ ჰონიავას.

საქართველოს ალკ. ხ. ა. ს. და პ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რეკონსტრუქციის საბჭოს ყოველთვიური საპაპეო ქარნალი



**პიონერი**

**3 მარტი 1981**

საქ. კ. ხ. ს. ს. რეკონსტრუქცია

ლქო კომიტეტში. მერე ნათქვამს ოლქის პიონერული ორგანიზაციის წარჩინებულად აღიარებული 105 პიონერული რაზმის ქებას მოაყოლეს და საკავშირო პიონერული მარშის — „საბჭოთა ქვეყნის პიონერები ლენინის საქმის ვართ ერთგულები“ მარშრუტის „სსრკ — ჩემი სამშობლოა, ოპერაციის — „ბაძს — პიონერული ხიდები“ — შედეგებიც ფრიადზე შეაფასეს.

როცა შეგვატყვეს, ნათქვამმა მხოლოდ ზოგადი წარმოდგენა შეგვიქმნა ოლქის პიონერთა საზოგადოებრივ ცხოვრებასა და აქტივობაზე, კონკრეტული ფაქტები მოიშველიეს.

მოსწავლეთა V შრომითი მეოთხედი... წლითი-წლობით იზრდება მასში დასაქმებულ პიონერ-მოსწავლეთა რაოდენობა. ინიციატივანობა და შრომის ხარისხი. მოსწავლეები შრომობენ საკლმეურნეო ფართობებზე, სამრეწველო ობიექტებსა და სასკოლო სატყეოებში. კარგა ხანია, მათ მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულება მარტო მათი აღმზრდე-



ნიწო ხაკაიშივილი  
**საქართველო  
60 წლისაა**

ლობითი ძვირფასობით კი არა, მილიონობით მანეთითაც გახიასაღვრება.

სამხრეთ ოსეთის პიონერ-მოსწავლეები გასული შრომითი ზაფხულის პერიოდშიც, ჩვეულებისამებრ, ძირითადად სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას ეწეოდნენ — ოიქმის ყველა მათგანი მშობლიურ ან მეზობელ მეურნეობაში შრომობდა.

შრომითი წარმატებებისა და დამოუკიდებელ თაოსნობათა სიმრავლით განსაკუთრებით ცხინვალის რაიონის პიონერული ორგანიზაცია გამოირჩა. დიდი გამოხმაურება ჰპოვა ვანათელ პიონერთა ინიციატივამ, რომლის მიხედვითაც თითოეული მოსწავლის სოციალისტური ვალდებულება მეურნეობისათვის 10-15 კგ რაოდენობის უხეში საკვების დამზადებას გულისხმობდა. ამ თაოსნობამ რაიონის მოსწავლეებს შორის ბევრი მხარდამჭერი და გამგრძელბელი ჰპოვა. ვანათელებს ჯერ კემულთელმა პიონ-



ნერებმა მიბაძეს, მერე კი სხვებმაც. და მალე დამკვრელურ შრომაში ჩაებნენ მთელი რაიონის კომკავშირელები და პიონერები — მეშვიდე-მეთექვსისეულის მოსწავლეები. სანაქებო გამოდგა მოსწავლეთა ამ თავისებური შრომითი გადაძახილის შედეგები. თითქმის ყველა მათგანმა გადააქარბა აღებულ ვალდებულებას — თითოეულმა 25 კგ რაოდენობის უხეში საკვები დაამზადა.

ქეშმარიტი პიონერი უპირველეს ყოვლისა თვალსაჩინო მოსწავლეა, — სწავლის ფრიადოსანი. სწავლის კარგოსანი, კარგი აკადემიური მოსწრებისა და ფართო განათლების მიღების სურვილის მქონე. მოსწავლეთა აკადემიური მოსწრებისა და სწავლის

ნის გარეშე — რაიონის სხვა სკოლების მოსწავლეებმაც დაუჭირეს ძხალი.

დაახლოებით 80 პიონერ-მოსწავლეთა დახმარებით, ვერაფერს იტყვი, სანაქებო ნაყოფი გამოიღო კომკავშირის ზნაურის რაიონული კომიტეტის დაინტერესებამ პიონერ-მოსწავლეთა სწავლის ხარისხის გაუმჯობესების საკითხით. გაუმჯობესდა რაიონის სკოლების საგნობრივ წრეთა მუშაობის ხარისხი, ბევრმა მათგანმა ფაქულტატიური მეცადინეობების სახე მიიღო. საგნობრივ წრეებში გაერთიანებულ პიონერთა რაოდენობამ რაიონის მოსწავლეთა 80 პროცენტს გადაამეტა.

კომკავშირის ჯავის რაიონულ კომიტეტთან უკვე რამდენიმე წელია მუშაობს პედაგოგიური რაზმი. რაზ-

კარგა ხანია. დაახლოებით 80 პიონერ-მუშაობას ეწევა: „არგონავტი“ სკოლის წევრები და, საერთოდ, ცხინვალის მე-3 საშუალო სკოლის პიონერები სამოქალაქო და სამამულო ომების ვეტერანების — ნიკოლოზ გაგლოვის, კაურბეგ გაბარაევის, ომში დაღუპული მეომრის დედის — მარტონელა კატია ბებიას და სხვათა ყოველდღიური სტუმრები და მეგობრები არიან. მათ ომში დაღუპულთა მემორიალთანაც სწორად ნახავთ — მივლენ, დაასუფთავენ იქაურობას, ცოცხალი ყვავილების ახალ თიგულს დადებენ; მემორიალთან მორიგეობა და საპატიო ყარაულში დგომა ხომ საუკეთესოთა წილზედღრია...

ნ. ოსტროვსკის  
სახელობის  
პიონერთა  
და  
მოსწავლეთა  
საოლქო  
სახსხლის  
ავიამოღელისებთა  
წრეში  
უნარიან  
ნორჩ  
კონსტრუქტორად  
იცნობენ  
ცხინვალის  
მე-5  
საშუალო  
სკოლის  
მეაქვსეკლასელს  
ლიმიტრი  
ქუპარბოვს.



ხარისხის გასაუმჯობესებლად განსაკუთრებით დიდი მუშაობა ჩაატარა კომკავშირის ზნაურის რაიონულმა კომიტეტმა. შედეგმაც არ დააყოვნა. საგულისხმოა, რომ სწორედ ამ რაიონის რვაწლიან ოსურ სკოლაში შეიქმნა ოლქში ერთ-ერთი საუკეთესო „ურთიერთდახმარების საბჭო“. სოფლების — მუგუთის, ნულის, ავნევის რვაწლიან სკოლებში დღესაც წარმატებით მუშაობენ „კოდნის შტაბები“. კიდევ ერთი სიახლე დაამკვიდრეს წლებანდელი სასწავლო წლის დასაწყისში ავნეველმა პიონერებმა. მათს ინიციატივას — „კვირა ორია-

მის წევრმა. ახალგაზრდა პედაგოგმა თემურ ქელესაევმა ჯავის საშუალო სკოლისა და სკოლა-ინტერნატის მოსწავლეთა ბაზაზე შექმნა ნორჩ ისტორიკოსთა მეტად საინტერესოდ მომუშავე წრე. წრის წევრთა უმრავლესობა — პიონერული ასაკისაა. მათ თავიანთი ახალგაზრდა პედაგოგის უშუალო ხელმძღვანელობითა და დახმარებით შეისწავლეს მშობლიური მხარის ისტორიული წარსული, მოინახულეს რევოლუციური და საბრძოლო დიდების ადგილები, გაეცნენ ომში დაღუპულ ჯავის მკვიდრთა ცხოვრებას.

მე-3 საშუალო სკოლის ბევრი მოსწავლე, ოლეგ კოშევიის სახელობის ამ რაზმელის ბევრი პიონერი მუშაობს „არგონავტი“ სკოლის ნორჩ ისტორიკოსთა და მოგზაურ-გეოგრაფთა კლუბში. საგულისხმო და მრავალმხრივია კლუბის ინტერესთა წრე და გეგმები. მისი შემოქმედებითი ატმოსფეროს დასასურათებლად კი ერთი-ორი ფაქტიც იკმარებს.

საოცარია, მაგრამ ამ კლუბის წევრებს სხვა, უფრო ზოგად საკითხზე

ნუგზარ აუხაზაძე

მხატვარი  
ზურაბ  
გამყარიაშვილი  
მომხრობა



კობას არ გაცვირვებია ბადრი ნაკაშიძის დანახვა. რატომღაც კარგა ხანია აეკვიტა ფიქრი, რომ ადრე თუ გვიან ეს სიმპათიური ახალგაზრდა კაცი აუცილებლად მოადგებოდა კარს. შესაძლოა, ამის მიზეზი ბადრი მასწავლებლის პიროვნებასთან სულიერი ნათესაობის ბუნდოვანი, გაუცნობიერებელი გრძობაც იყო... ასეა თუ ისე, კობამ ყურთამდე გააღო კარი და სტუმარი სახლში შეიპატიჟა:

— მობრძანდით, ბადრი მასწავლებლო!  
— გამარჯობა შენი, კობა! — ბადრიმ თანატოლსავით გაუწოდა მარჯვენა. — ჩვენ მგონი დღეს ერთმანეთი არ გვინახავს, ხომ?

— დიახ, გამარჯობათ. — კობამ მასწავლებლის გამოწვივით ხელს ხელი შეაგება. — შემობრძანდით! — გაიმეორა.

— ოჰო, მაგარი მაჯა გქონია! — ბადრი შევიდა და კარი თვითონ მიხურა. — ვარჯიშობ?

— ისე, ჩემთვის. — მოკლედ მიუგო კობამ. — აქეთ მობრძანდით! — და თავის ოთახში შეუძღვა. — ბოდიშს ვიხდი, ცოტა არეულია აქაურობა.

ოთახს მიუღებელი არ ეთქმოდა. საწერ მაგიდაზე ალგებრის სახელმძღვანელო, ფორმულებით აჭრელებული საერთო რვეული და ბურთულიანი ავტოკალამი ეწყო. დივანზე სქელტანიანი გადაშლილი წიგნი იდო, ხოლო ფანჯარასთან მიდგმული სავარძლის სახურგეზე ზამბარიანი ესპანდერი იყო გადადებული.

— დაბრძანდით.  
— აგერ, დივანზე ჩამოვჯდები, — უარი თქვა შემოთავაზებულ სკამზე ბადრიმ და კიდევ ერთხელ მოათვალიერა ოთახი. — მაშ, ეს არის შენი რეზიდენცია? — პასუხისთვის არ დაუცდია, გადაშლილ წიგნს დაწვდა. — რას კითხულობ? „არსენა მარაბდელი“... აჰა! მოგწონს?

— მეორედ ვკითხულობ.  
„ის კი არა, მესამედაც კი...“

— მაშასადამე, მოგწონს. მართალი გითხრა, მეც ძალიან მიყვარს ეს წიგნი. დრო რომ მქონდეს, წელიწადში ერთხელ მაინც წავიკითხავდი. — ბადრი წამოდგა და საწერი მაგიდის ზემოთ კედელზე ჩამოკიდებულ წიგნის თაროსთან მივიდა. — აბა, ვნახოთ ერთი, რა სამყაროში ცხოვრობ... პიუგოს „ოთხმოცდაცამეტი“. დიდებულია. „უქარქაშო ხმლების“ ყველა წიგნი გქონია. საოცრებაა, არა? ხომ საოცარი წიგნებია?

— დიახ, ბადრი მასწავლებლო.  
— არა მგონია, კიდევ ვინმეს ჰქონდეს ასეთი ტრაგიკული ისტორია. ერთი მხრით — გმირობა და თავდადება, მეორედ მხრით — უნათობა და ღალატი... თუმცა.

ჩვენი სიმაღლიდან ადვილი განსასჯელია, აქედან ყველაფერი ხელისგულივით მოჩანს... ეს ვინ არის? მაინ რიდი, „უთავო მხედარი“. ოო! მახსოვს, სტუდენტალაქში ვცხოვრობდი. ერთი ღამით მათხოვეს ეს წიგნი, რუსული თარგმანი იყო, ის ღამე თეთრად გავათენე კითხვაში და მეორე დღეს პოლიტეკონომიის გამოცდაზე ჩავიკერი. მაგრამ მაინც ძალიან მიყვარს... ყოველ ვერნი, „კაპიტან გრანტის შეილები“, კარგია, მაგრამ მე „საიდუმლო ენძაული“ მიჩვევია. ოჰო, ლადო მრელაშვილის „იყალბოთელი ბიჭებიც“ აქ ყოფილან: სტაინბეკი, მუხრან მაქსვარიანი, „როგორ გაჩნდა ადამიანი“, „ქართული ზღაპრები“, ასტრიდ ლინდგრენი, არკადი გაიდარი, „ქართლის ცხოვრების ქრონიკები“, ალექსანდრე ყაზბეგი, ჯეკ ლონდონი... ყოხად, ჩემო კობა, ფართო დიაპაზონის მკითხველი ყოფილხარ. — წამით თითქოს დაეკვდა. — ხომ ყველა გაქვს წაკითხული?

— დიახ, ბადრი მასწავლებლო. ზოგი — ორჯერაც.  
„აბა სილამაზისთვის მიწვევა თაროზე?“

— კარგია, მაგრამ... კითხვა სწავლაში ხომ არ გიმლის ხელს?

— არა, რატომ უნდა შემეშალოს?  
— უმაღლესი რომ დავამთავრე, რამდენიმე თვე შემცვლელ მასწავლებლად ვიმუშავე. ერთი მეტიჩარა მოსწავლე მყავდა, ყველა საგანში ოთხოსანი იყო, კლასგარეშე ლიტერატურის კითხვა აუცილებელი რომ არ იყოს, ფრიადოსანი ვიქნებოდით, მიმტკიცებდა. ვერ გადავარწმუნე, არა და იმას ხომ ვერ ვიტყოდი, აბა ერთ წელიწადს ჩურაფერს წაიკითხავ და ვნახოთ, ხუთოსანი თუ გახდები-მეთქი! გახდებოდა ვითომ?

— კობამ მხრები აიჩეჩა.  
— არ ვიცი. — და მცირე ყოყმანის შემდეგ დაუმატა:

— მე მგონია, მთავარი დროის სწორი განაწილებაა.  
„რა ბრძნული რაღაც ვთქვი!“

— მართალი ხარ! თუ დროს მართებულად გაანაწილებ, ყველაფერს მოასწრებ: გაკვეთილების მომზადებასაც, კითხვასაც, კინოში სიარულსაც... სხვა რამეებსაც.

ეს „სხვა რამეებსაც“ ბადრიმ მცირე პაუზის შემდეგ და თითქოს მახვილით წარმოთქვა. კობამ სწრაფი მხერა ესროლა სტუმარს, მაგრამ იგი უდრტვინველად ფურცლავდა „უთავო მხედარს“.

— იცი, ამ წიგნში ყველაზე უფრო ვინ მომწონს? — წამიერი დუმილის შემდეგ იკითხა ბადრიმ და თავის დასმულ კითხვას თვითონვე უპასუხა: — მოხუცი მონადირე ზებ სტუმპი! ასეთი ერთგული მეგობარი რომ არ ჰყოლოდა, მუსტანგერის საქმე გათავებული იყო.

მთავარი ის არის, რომ ზებისთვის არავის დაუძალებია, გინდა თუ არა, მორის ჯერალდს უნდა უშველო და უთავო მხედრის საიდუმლოება ამოხსნაო. მას შეეძლო ფეხიფეხადადებული მკდარიყო და ნელ-ნელა ეწრუპა

თავისი მონონგაჰელა. მაგრამ არა, მოხუცმა მანამ არ მოისვენა, სანამ მეგობარი სიკვდილის კლანჭებისაგან არ დაიხსნა, თანაც რამდენჯერმე თვითონვე ძლივს გადაურჩა ხიფათს, რა სიძამაც და უანგარობაა, არა?

კობა მღუმარედ იჯდა და ალგებრის რვეულის წიბოს მსუბუქად იტყაულებდა მარცხენა ხელის გულზე. მერე მასწავლებელს ახედა:

— ასე ხომ მარტო წიგნებში ხდება, ბადრი მასწავლებლო, მეგობრობაც, გმირობაც მარტო წიგნებშია. სინამდვილეში კი...

— სინამდვილეში კი — არა?

— დიახ. ცხოვრებაში ყველა საკუთარ თავზე ფიქრობს, საკუთარ სიცოცხლეს უფროთხილდება სხვისთვის თავს არავინ გასწირავს.

— რატომ გგონია ასე?

— რა ვიცი, ვერ გეტყვით. ოღონდ ასე ვიპოვე და...


— გასტელოს გმირობა ხომ გახსოვს? განა მან ჩემი და შენი სიცოცხლისათვის არ გასწირა თავი?

— ის შემთხვევა იყო.

— მატროსოვის გმირობაც? შოთა გამცემლისაც? კობა თითქოს შეეყოყმანდა.

— დიახ, — მტკიცედ თქვა ბოლოს. — აი, მაგალითად, როცა ომში მიდიოდა, შოთას განზრახული ხომ არ ჰქონდა, რომ აუცილებლად ტანკს შეუეარდებოდა? შემთხვევით ისეთი პირობები შეიქმნა, რომ შოთა იძულებული გახდა, თავისი დაღუპვით გადაერჩინა სხვები.

— ოო, ამაში ვერ დაგეთანხმები, კობა, ამაში — ვერა! — ბადრი წამოდგა და ოთახში გაიარ-გამოიარა, სხვაფერად ალღევდა არ დასტყობია. — რას ჰქვია „იძულებული გახდა“! გასტელოც, მატროსოვიც, გამცემლიც სულთ ვაჟკაცები, სულთ გმირები იყვნენ და ეს გმირობა, უბრალოდ, ერთ გარკვეულ მომენტში გამოი-



ლინდა. გმირობა, ისევე როგორც ლალატი ან სილაჩო, ხასიათის თვისებაა და არა ბრმა შემთხვევა.. აი, შენ წაკითხული გაქვს „უქარქაშო ხმლები“, „ქართლის ცხოვრების ქრონიკები“. განა თვედორე მღვდელს მოსაფიქრებლად საკმაოდ დრო არ ჰქონდა? მას რომ სდომოდა. შეეძლო სწორი გზა ეჩვენებინა მტრისათვის და თავი გადაერჩინა — ხომ ყოფილა ასეთი მაგალითებიც?... მაგრამ თვედორე გმირი იყო და თავისი ხალხის სიკეთეს შეეწირა. ახლა ცოტნე დადიანი გაიხსენე: ვინ დასძრახავდა ცოტნეს, რომ არ დაბრუნებულყო და არ შეერთებოდა დაპატიმრებულ შეთქმულებს? მაგრამ მისი ხასიათი ისე იყო მოწყობილი, რომ მოყვასის გადასარჩენად საკუთარი სიცოცხლე უყოყმანოდ შეაგდო სასწორის პი-

ნაზე... დიმიტრი თავდადებული? მას ხომ იქით ევეჯებოდა, ნუ წახვალ, სიკვდილი გელისო. მეფე იყო კინ დაუშლიდა, ან ვინ გაუმტყუნებდა, ჯარი რომ შეეკრიბა და ხმლით დახვედროდა მტერს? მაგრამ ეს არ გააკეთა, და თავისი სისხლის ფასად მთელი ერი გადაარჩინა უბედურებას. გმირი იყო და იმიტომ.

ბადრი ნაკაშიძე მშვიდად და მტკიცედ ლაპარაკობდა. აუჩქარებლად, დაფიქრებით, თითქოს საკუთარ თავს ესაუბრებოდა. კობა არც კი შერხეულა, ყურადღებით უსმენდა მასწავლებელს. როცა ბადრი გაჩუმდა, ერთ ხანს ხმა არ ამოუღია, მერე კი წყნარად, გაუბედავად ჰკითხა:

— ახლა?

— რა „ახლა“?

— ახლა არიან გმირები?

— რა თქმა უნდა! შეიძლება შენს კლასშიც კი სხედან პოტენციური გმირები. გაივლის წლები და ერთი მათგანი უძილო დამეებისა და კოლოსალური შრომის ფასად ენერჯის ახალ წყაროს აღმოაჩენს, მეორე ვენერაზე ყოფნისას საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებით იხსნის, მთქვათ, ფრანგ ხნ უნგრულ კონსონანტს, მესამე წყალქალებულს გადაარჩენს, მეოთხე გმირი დედა გახდება... და ყველაფერ ამას განსაზღვრავს არა რაიმე შემთხვევა, არამედ მათი სულიერი ძალა, მათი ხასიათი, რომელიც თქვენს ასაკში ძირითადად უკვე ჩამოყალიბებულია, ხოლო ჩვენი, საბჭოთური ცხოვრების წესი კიდევ უფრო განამტკიცებს და მიზანმიმართულს გახდის მას. აი, ასეა ეს, ჩემო კობა.

— იქნებ მალხაზიც პოტენციური გმირაა?..

მალხაზი კობას თანაკლასელი იყო. თითქოს გონება-გახსნილი ბიჭი ჩანდა, მაგრამ წლების მანძილზე მისი წარმატება სამიანის დონეს არ ასცლებია. ამის მთავარი მიზეზი სიზარმაცე იყო: წიგნს გულს ვერ უღებდა, თვალი და ყური სულ ეზოსკენ ექირა, ძილშიც ბურთის ბათქუნი ელანდებოდა. წლებანდელ სასწავლო წელს კი მალხაზი სასწავლებრივად შეიცვალა, სახელმძღვანელოებს ჩაუჯდა, თავაუღებლად მეცადინეობდა, დღითი დღე უმატებდა სწავლას და ბოლო ხანს ჟურნალში მისი გვარის გასწვრივ საგარძობლად იმატა ოთხიანებისა და სუთიანების რიცხვმა.


— რატომაც არა? — ბადრის კობას ნათქვამში ამკარა დაიცინვა მოესმა, თუმცა ბიჭის სახეზე ღიმილის ათინათი არ გამკრთალა. — მალხაზს კრივის სექციაში დაუწყია სიარული, იქ კი კულ მოსწავლეებს არ ატანებენ. ბავშვს სიტყვა მიუცია მწვრთნელისათვის და, ხომ ხედავ, როგორ შეასრულა თავისი სიტყვა! წლობით ზარმაცობას დაჩვეულმა ბიჭმა საკუთარ თავში იმდენი ძალა გამოიხატა, რომ თავისთავს აჯობა და მოწინავე მოსწავლეებს წამოეწია. შენ როგორ ფიქრობ, საკუთარ თავზე გამარჯვება პატარა გმირობაა? მეტიც კია. აი, შენ „მარტინ იდენი“ გიღვეს თაროზე. არ გხიბლავს ამ კაცის ნებისყოფა? „ამდენი ნამდვილი ადამიანისა“ გაიხსენე, უთუოდ წაკითხული გექნება: საკუთარ თავთან ბრძოლაში არ გამოიწრთო ალექსეი მერესიევი?.. ერთი სიტყვით, მე ასე მწამს, ჩემო კობა: თუ ადამიანი ისწავლის ნებისყოფის მართვას და საკუთარ თავზე გამარჯვებების მოპოვებას, ეს ნიშნავს, რომ მას უკვე გამოუმუშავებული აქვს გმირული ხასიათი. ასეთები საკმაოდ ბევრნი არიან, და მე მგონია, რომ ერთერთი მათგანი შენც უნდა იყო, პიონერო კობა ბლაგიძე!

„შენც, პიონერო ბლაგიძე!“

ბადრი მაგიდას დაეყრდნო. დაიხარა და თვლებში ჩახედა კობას. ბიჭის სახეს ნელ-ნელა მოედო ალმური და კობამ მზერა აარიდა მასწავლებელს.

ბადრი ნაკაშიძე ჭაიმატა.

— შენ იცი, მე სადა ვცხოვრობ?



ვიცი, ბადრი მასწავლებელი, — რატომღაც ჩვე-  
ულბრივზე უფრო დაბალი ხმით მიუფო კობამ.

„რატომ მეკითხება?“

— ძალიან კარგი. საპასუხო ვიზიტი შენზე. თუ მეს-  
ტუმრები, ნამდვილად გამიხარდება.

### თავი მესამე

შუა აპრილი იდგა. ნაკვიანვეი გაზაფხული თანდათან  
იკრებდა ძალას, მზე უფრო და უფრო აცხუნებდა, მიწა  
თბებოდა და რკინა-ბეტონის რვასართულიანი სახლების  
უდაბნოში თაზისებოვით ამოფეთქილ ალვათა და ჭადარ-  
თა სიმწვანე თვალსა და გულს ახარებდა სამასწავლებ-  
ლოში უკვე ხშირად აღებდნენ ფანჯრებს და ოთახი დი-  
ლობით ხედლი მიწისა და ახალაფეთქებული კვირტების  
სურნელით იყო ხოლმე სავსე. დიდსაც და პატარასაც ხა-  
ლისი უბრწინავდა თვალეში — ჰო, უკვე ახლოს იყო  
ხალდი გაზაფხული.

ღია ფანჯარასთან მდგომმა ბადრიმ იგრძნო, რომ  
გვერდში ვიღაც ამოუდგა. მოიხედა, დირექტორის მდი-  
ვანი აღმოჩნდა. გიბარებთო...

— მობრძანდი, ბადრი, მობრძანდი! — დირექტორი  
ოცდახუთოიდე წლით უფროსი იყო ნაკაშიძეზე და, რა  
გასაკვირია, „შენობით“ ელაპარაკებოდა. აგერ, ახლოს  
დამიჯექი. სასაუბრო მაქვს შენთან. დრო ხომ გაქვს?

— კი ბატონო!

— მაშ, ასე. — დირექტორს ხელში შავი ბურთული-  
ანი ავტოკალამი ეჭირა და თითებში ათამაშებდა. — ერთი  
ეს მითხარი, ბადრი, როგორია შენი და მეშვიდე „ა“ კლას-  
ის დამრიგებლის დამოკიდებულება? პირდაპირ მითხა-  
რი, გულახდილად.

— დასამალი რა მაქვს, ბატონო ალექსი! როგორია და,  
კოტა აღმაცურად მიყურებს.

— რატომ, თუ იცი?

— არ ვიცი, სხვათა შორის, მიზეზი არც მიძებნია. კა-  
ცია და გუნება, ზოგს მოსწონს ჩემი პიროვნება, ზოგს —  
არა. სიმპათია-ანტიპათიის კრიტერიუმები, მე მგონი, არ  
არსებობს.

— ეს მართალია, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ. სიმ-  
პათიასაც და ანტიპათიასაც ყოველთვის აქვს მეტ-ნაკლე-  
ბად თვალსაჩინო მიზეზი. — ალექსიმ თვალეში მოჭუტა  
და თავი ოდნავ გადახარა. ასე იცოდა, როცა მოსაუბრის  
სულის სიღრმეში ჩახედვა სურდა. — ასეა ამ შემთხვევა-  
შიც. პატივცემული ლილი ფიქრობს, რომ შენ მის ფუნ-  
ქციებში შეიჭერი, მის საქმეში ერევი და ამით მუშაობაში  
ხელს უშლი. რას იტყვი ამაზე?

— რა უნდა ვთქვა, ბატონო ალექსი, — ღრმად ამოი-  
სუნთქა ბადრი. — მე მგონია, აქ ყველას ერთი საერთო  
ფუნქცია გვაკისრია — ბავშვის აღზრდა, მისი მოქალაქედ  
ჩამოყალიბება. ფუნქციათა დაყოფა, მათი განაწილება  
საგნის მასწავლებელს, დამრიგებელს თუ სასწავლო ნა-  
წილის გამგეს შორის მხოლოდ პირობითია...

— კარგი, თავი დავანებოთ ამას. იცი, პატივცემულმა  
ლილიმ რა შემომჩივლა? მოსწავლეებთან ოჯახებში და-  
დისო. ერთ შრომებს დაურეკავს კიდევ, დიპლომატიუ-  
რად უკითხავს: ქალბატონო ლილი, რამე ხომ არ შეიცვა-  
ლა, ხომ ისევ თქვენა ხართ ჩემი შვილის დამრიგებელი?  
— დირექტორმა ჩაიცინა. — აი, ეს ემწვავა ყველაზე მე-  
ტად.

ნაკაშიძეს წარბიც არ შეუხრია.

— მე მხოლოდ ერთ ოჯახში გახლდით, ბატონო ალექ-  
სი. ბლავიძის ოჯახში ვიყავი. მაშასადამე, ბლავიძის დედა  
დარეკავდა, სხვა არავინ.

— მხოლოდ ბლავიძეებთან იყავი?

— მხოლოდ ბლავიძეებთან.

— კი მაგრამ, რატომ, რისთვის? — გაიკვირა ბადრი.  
ტორმა. — პატივცემული ლილი ამბობს, ნეტავ, სხვების

ისეთები მყავდნენ, როგორც კობა ბლავიძეაო. ის ბა-  
შვი საშუალოზე უკეთ სწავლობს, სამები და ოთხები  
აქვს, უდისციპლინობას ვერ დასწამებ, გაკვეთილზე ხელს  
არავის უშლის, არ ჩხუბობს და არ ეწვეა! ასე არ არის?

— მერედა, მარტო საშუალოზე უკეთ სწავლა და გა-  
კვეთილზე წყნარად ჯდომა საკმარისია?

— ბიჭოს! — გულწრფელად გაუკვირდა ალექსი ობო-  
ლადეს. — აბა მეტს რას სთხოვ იმ ბავშვს? ყველას ხომ  
არ შეუძლია, ხუთოსანი იყოს!

— კობა ბლავიძეს შეუძლია! — მტკიცედ თქვა ბად-  
რი. — ამას მისი ამხანაგებიც გრძნობენ.

— კი მაგრამ... კი მაგრამ, თუ ასეა, როგორ მოხდა,  
რომ შვიდი წელია ამ სკოლაში სწავლობს და... ახლა შე-  
ეტყო პოტენციური ფრიადოსობა?

— არ ვიცი... მაგრამ იცით რა, ბატონო ალექსი, მარ-  
ტო პოტენციურ ფრიადოსობაშიც არ არის საქმე. მარ-  
ტო ამისთვის არ მივსულვარ ბლავიძისას.

— აბა?

— მაგ ბიჭს რაღაც აწუხებს, მძიმე ლოდივით აწევს  
გულზე რაღაც. ერთ წუთში ყურადღებით რომ მისმენს,  
წუთის შემდეგ საერთოდ არ არის ამ ქვეყნად... თუმცა,  
როცა მისმენს, მაშინაც უცნაური ნაღველით აქვს თვა-  
ლები სავსე.

— ეს ასაკის ბრალია, ჩემო ბადრი!

— არა, მარტო ასაკის ბრალი არ არის. თქვენ თუ  
იცი, ბატონო ალექსი, რომ ეს ბიჭი საერთოდ ვერ გა-  
ვაცინე? ღიმილიც კი არ მინახავს მის სახეზე. წარმოგიდ-  
გენიათ? თოთხმეტი წლის ბიჭს ღიმილმა ბაგეც კი არ  
გაუხსნას იმ დროს, როცა მთელი კლასი, დანარჩენი ოც-  
დაათი ბავშვი თავშეუთქავებლად ხარხარებს.

— საინტერესოა... ბლავიძისთვის მე არასოდეს მის-  
წავლება და საშუალება არა მქონია, საფუძვლიანად დაე-  
კვირებოდა. — დირექტორი ჩაფიქრდა. — ისე, შენ მარ-  
ტალი უნდა იყო, რაღაცნაირი ცივი და გულჩახვეული ბა-  
შვია... თუ ამხანაგობს ვინმესთან?

— რამდენადაც ვიცი, არა. ყოველ შემთხვევაში, გა-  
მორჩეულად — არავისთან. დგას ცალკე, არასოდეს  
არაფერში არ ჩაერევა — თუ უშუალოდ მას არ ეხება.  
სხვათა შორის, რაზმის საბჭოს სხდომაზეც ითქვა ეს, რო-  
ცა მის საკითხს იხილავდნენ. პირველი არასოდეს დაელა-  
პარაკება ვინმეს, არავის არაფერს არ სთხოვს. ძალზე და-  
მოუყიდებლად, გარიყულად უჭირავს თავი. არ ვიცი, რით  
დაიმსახურა, მაგრამ ვაწყადე და კორმანია — მარშანდელი  
მეცხრეკლასელი აბეზარები — საზგასმული პატივისცე-  
მით ეპყრობიან. მოწიწებითაც კი.

— ჰოო? — დირექტორს წამით მხერა გაეყინა. — აქ  
რამე სხვა მიზეზი ხომ არ იძალდება?.. მაგრამ არა, არა მგო-  
ნია... კარგი, ერთი ეს მითხარი, ბადრი, შენთვის ცნობი-  
ლია, რომ ეს ბიჭი მამით ობოლია?

— დიან. მაგრამ კლასში კიდევ არის ორი ობოლი —  
დედა არა ჰყავთ. ამათ ორი-სამი წლის წინათ გარდაეცვა-  
ლათ დედა, ხოლო კობა ბლავიძე, მამამისი რომ დაიღუპა,  
რვა წლისა ყოფილა. ნუთუ ამ ექვსი წლის მანძილზე ვე-  
რა და ვერ მოიმუშა ის ძველი კრილობა?

— მაშ, როგორ გგონია, რაშია საქმე? რამდენადაც ვი-  
ცი, დედა და მამინაცვალა ცუდად არ ექცევიან.


— თქვენ ეს იცით?

— შენ ეჭვი გეპარება?

— როგორ გითხრათ... მარტო ნორმალური კვებითა  
და ჩაცმა-დახურვით ხომ არ განისაზღვრება კარგი მოყ-  
რობა! მე მგონია, ოჯახური სითბო აკლია ბავშვს. მისი სი-  
ცივეც იქნებ აქედან მოდიოდეს.

— შენ ვის ესაუბრე?





— კობას. მარტოკა იყო შინ. დედაც და მამინაცვალის სამსახურში იყვნენ. ცუდად არ ცხოვრობენ. სამოთახიანი ბინა აქვთ. ერთი ოთახი კობასათვის დაუთმიათ.

— აბა რას ერჩი! სრული საფუძველი ჰქონია პატივცემულ ლილის, ბლაგიძეებთან შენი ვიზიტი ხელმეტად რომ მიუჩნევია: კარგი ჩაცმა-დახურვა, კარგი კვება, ცალკე ოთახი... კიდევ რაღა უნდა ისურვოს ბავშვმა, იდეალური პირობები ჰქონია შექმნილი, დაჯდეს და ისწავლოს!

— არა, ბატონო ალექსი, აკი მოგახსენეთ ჩემი აზრი, მარტო ჩაცმა-დახურვა და თუნდაც ცალკე ოთახი არ არის საკმარისი. აქ უფრო სხვა რაღაცაა საჭირო. ცოტა სიღრმეში უნდა ჩავწვდეთ, ვიდრე გვიან არ არის. ამას უკვე პიონერებიც მიხვდნენ, ერთი კარგი გოგონა მიამაგრეს კობას, თამრიკო ლომსაძე.

— კარგი უქნიათ. მაგრამ შენ თქვი, ვიდრე გვიან არ არისო... ვითომ ასე მწვავედ დგას საკითხი?

— დიახ, ბატონო ალექსი მწვავედ დგას.

— რა ვქნათ აბა? — დაფიქრებით იკითხა ღირეკტორმა. — მოველაპარაკო პატივცემულ ლილის?

— რაზე უნდა მოელაპარაკოთ?

— შენ ისეთი კაცი ჩანხარ, რამეს რომ გადაწყვიტავ, ალარ მოეშვები. მიხედავ კობა ბლაგიძეს?  
— აუცილებლად, ბატონო ალექსი... უსათუოდ...

### თავი მეოთხე

— ვახ, კობა? — ისე გაიკვირვა რატიმ კობას დანახვა, ვითომ მთელი თვე თვალთ არ დაეღანდოს. კახას მიერ ჩამოწოდებული ბურთისათვის ალარ დაურტყამს. ფეხით ჰობდენილად შეაჩერა, მეზურნისავით ლოყებდაბერილ გახვითულ პარტნიორს ნელა გაუგორა და თვითონ სადარბაზოდან გამოსულ კობას შეეგება. — მაგარი ჭინსი გაცვია, აი!

— მოგწონს?

„როგორ დააქციტა თვალები!“

— დედას გეფიცები, ასწორებს!

— ჰო?

„ასწორებსო!“

— ნაღში გეუბნები, მაგრად მევასება. ამის წინებზე მაძაჩემი შევანი. მეხუთე კლასის პირველ სემესტრს სუფთა ხუთებით თუ დახურავ, სტაპრო ჭინსს დაგვიადნობ. დედას გეფიცები, თუ ვტყუოდე!

— აბა შენ იცი, მიღი, ჰე, კახა გელოდება.

— ჩაო!

„თავში უნდა წაუთაქო და ყურები დაახიო მაგ ლაწიროაკს. — ფიქრობდა აღმართში მიმავალი კობა. — რა ჩემი საქმეა, თორემ... მაინც ვინ, რომელი მოცილილი იგონებს ნეტავი ამ უცნაურ სიტყვებს? გული აგეოევა კაცს, ეს ბიჭბუჭობაც რა ადვილად სწავლობს და იმასხოვრებს. საკვირველია პირდაპირ!“ თვითონ კობას ჰირის დღესავით ეჯავრებოდა ეარგონი, გასაგონად ვერ იტანდა. თუმცა, ისიც მართალია, შემთხვევა არ ყოფილა. მოსაუბროსათვის შენიშვნა მიეცეს... რა ჩემი საქმეაო, — დაიმშვილებდა ხოლმე თავს.

საათზე დაიხედა. ჯერ ადრე იყო. თორმეტამდე სახელოსნოს არ გააღებდნენ. მაინც ზღვაზე ასვლა გადაწყვიტა.

ავტობუსის გაჩერებასთან სამარშრუტო ტაქსს რამდენიმე კაცი უცდიდა. კობამ შორიდანვე იცნო ბადრი ნაკაშიძე. იცნო და მაშინვე ის ამბავი გაახსენდა...

...სკოლამდე ორი ნაბიჯი იყო, მაგრამ კობა ყოველთვის ზარამდე თხუთმეტი-ოცი წუთით ადრე გამოდიოდა ხოლმე სახლიდან. ჩქარი სიარული არ უყვარდა, ნელა მიაბიჯებდა და თავის საფიქრალს ფიქრობდა, საფიქრალი კი ბევრი გაუჩნდა ამ ბოლო დროს. შორიდან მოუვლიდა ხოლმე, გზას იგრძელებდა.

იმ დღესაც შორი გზით წავიდა.

ჩასახვევთან შედგა. საინტერესო სურათი გადაეშალა თვალწინ: იმ ადგილიდან ცოტა ქვემოთ, სადაც ვიწრო ჩასახვევი დიდ გზას უერთდებოდა, ზედ ასფალტის შუაში კარგა მოზრდილი ლოდი ეგდო. რომელიმე თვითმცლელს თუ გადმოუვარდა საბარგულიდან. ლოდს ორი წითელყელსახვევიანი ბიჭუნა ეჯავრებოდა. კობამ იცნო, მესხეთეკლასელები იყვნენ. ჩანთები გზისპირას ბალახში მიეგდოთ, თეთრი პერანგის სახელოები აეკაპიწებინათ და მეტისმეტი დაძაბულობისაგან კისერზე ძარღვები დაბერვოდით.

კობა შეჩერდა. ბიჭებმა მოიხედეს, წელში გაიმართნენ და თვალები გაუბრწყინდათ:

— მოგვეშველე, რა, კობა, ეს ლოდი გადავავოროთ, — სთხოვა ერთმა.

— რატომ?

„მოცილები!“





— ჰეკვიანურად მაიქციტო, ერთხელაც კამათელი ათა-  
მაშეთ, იქნებ „ჟიგულს“ ჩამოვიდეს. ხუმრობით შეაპა-  
რეთ, თამაშ-თამაშა, არკი დააფრთხოთ, არ გაგვყიდოს.  
homo homini lupus est, ხო იცით!..

რაფიკას ხმა (საიდანაც შორიდან):

— აბა ერთი იკისროს! ვახ, მე მაგას...

ბრიხას ხლიჩინი (ისიც შორიდან):

— ლავრენტ, აპა, ეს წყვილი საყურე, ეს პლატინის  
საათი, ესეც ოქროს სამაჯური. ერთი საპატარძლო გა-  
ვასუფთავე. მაყუთი ეხლავე მაიტა, გაიგე შენა? მჭირ-  
დება...

Homo homini lupus est! — ადამიანი ადამიანისათვის  
მგელია... — კობას თითის წვერები გაეყინა და ციებია-  
ნივით გააჟრუოლა. — ეს ხომ ლადოა! ჰო, ნამდვილად  
მისი ხმაა, ლადოსი, შემოდგომაზე ჭინსის შარვლის და-  
კარგვას და სირცხვილს რომ გადაარჩინა! იმ პირველი  
შეხვედრისას სულ ციტატებით ლაპარაკობდა, ახლა კი...  
თურმე პირწავარდნილი ქურდი არ ყოფილა!..“

კობას ცივმა ოფლმა დაასხა, სუნთქვაშეკრული თი-  
თის წვერებზე გამობრუნდა, აჩრდილივით უხმაუროდ  
გაიარა ტალანი, გარეთ გავიდა, კარი ჩაკეტა და გასაღე-  
ბი თავის ადგილას შეინახა. მერე უკაცრიელი ეზო გა-  
დაირბინა, ავტურის კედელს გადაახტა და პარალელურ  
ქუჩაზე ამოჰყო თავი. ერთი საათი პლენხანოვის გამზი-  
რზე იარა აღმა-დაღმა, მოზღვავებული ფიქრებისა და  
მოგონებებისაგან თავი უსკდებოდა. პირველის ნახევარ-  
ზე კი სახელოსნოში მივიდა და ღია კარი ისე არხეინად  
გაიარა, ვითომც არაფერი მომხდარიყოს.

იმ დღეს თამაშში „ბედი სწყალობდა“: წანაგები ფუ-  
ლი ამოიგო და ერთბაშად მთელი ვალი გაისტუმრა —  
ლავრენტას ასი მანეთიც და რაფიკას ხუთი თუმანიც.  
ლავრენტას შემოთავაზებულ წინადადებაზე — სადმე  
წავიდეთო — თავის ტკივილის საბაბით უარი თქვა და  
სახელოსნოდან პირველი გამოვიდა.

სალამოს ათის ნახევარი იყო, თოთხმეტსართულიანი  
სახლის სადარბაზოში რომ შევიდა. ბადრი მასწავლებე-  
ლი ახლა უთუოდ შინ იქნებოდა. რატომღაც მისკენ გა-  
მოუწია გულმა ძალუმად, საკუთარ სახლში ახლა ვერა-  
ფრით ვერ მოისვენებდა, ახლა არ შეეძლო მირიანის  
და... დედის დანახვაც კი.

ბადრის ამ დროს სტუმარი ჰყავდა. ეს იყო ორმოცი-  
ოდე წლის შავულვაშა ათლეტი. მის ლამაზ სახეს იერს  
ვერ უცვლიდა მარჯვენა თვალის კუთხესთან დამჩნეუ-  
ლი საკმაოდ ღრმა ნაიარევი. სტუმარს სამოქალაქო ტან-  
საცმელი ეცვა, მაგრამ მილიციის თანამშრომელი აღმო-  
ჩნდა.

— სამძებრო განყოფილების უფროსის მოადგილე კა-  
პიტანი თემურ ოდიშარია, — ასე გაეცნო იგი მასპინ-  
ძელს, როცა ზღურბლს ვადაბიჯა. — თქვენ კი ბადრი  
ნაკაშიძე ხართ, არა?

— მობრძანდით, — შეიპატეა ბადრიმ, ოთახში შეუ-  
ძღვა და სკამი შესთავაზა. დაელოდა, ვიდრე სტუმარი  
დაჯდებოდა, და თვითონაც მის წინ, მაგიდის კუთხეში  
დაიდგა სკამი. — გისმენთ, ბატონო თემურ.

„ვერც სწავლა-ბანათლება მწარმოებლური  
შრომის გარეშე, ვერც მწარმოებლური შრომა  
პარალელური სწავლისა და ბანათლების გარე-  
შე ვერ იქნება აუკანალი იმ სიმაღლეზე, რე-  
მელსაც ტექნიკის თანამედროვე დონე და მეც-  
ნიერული ცოდნის მდგომარეობა მოითხოვს.“

3. ი. ლენინი.

# თაონის და ქნაქსიკის გახვისა ერთიანობით

დღეს, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ხანაში,  
როცა დღითი დღე იზრდება და ფართოვდება სახალხო  
მეურნეობის ესა თუ ის დარგი, საჭირო ხდება მაღალი  
კვალიფიკაციის მქონე, თავისი საქმის კარგად მცოდნე  
სპეციალისტთა კადრები, რომლებიც შეძლებენ თავი-  
ანთი შრომის შეხამებას ტექნიკის განვითარების სწრაფ  
ტემპთან. ასეთი სპეციალისტების სამჭედლო გახლავთ  
პროფტექნიკური განათლების სისტემა. დაეუფლოს სა-  
ყვარელ პროფესიას და მიიღოს სრული საშუალო გა-  
ნათლება—ეს ახალა ბევრი ახალგაზრდის ოცნებაა.


რა პერსპექტივები არსებობს რესპუბლიკაში პროფ-  
ტექნიკური სწავლების შემდგომი განვითარებისათვის,  
როგორია მისი ახლანდელი მდგომარეობა?

ამ საკითხებთან დაკავშირებით ჩვენს რედაქციაში  
„მრგვალ მაგიდასთან“ შეიკრიბნენ საქართველოს სსრ  
მინისტრთა საბჭოს პროფტექნიკური განათლების სა-  
ხელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ახ. სერგო რიგ-  
ვაია, მწ-ე პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტო-  
რი, სოციალისტური შრომის გმირი ეთერ სოლომონია,  
ამავე სასწავლებლის პედაგოგი მერი მოსეშვილი,  
119-ე საშუალო სკოლის დირექტორი ნ. კვანტალიანი,  
რამდენიმე მოსწავლე და მშობელი.



**ს. რიგვავა:** პროფტექნიკურმა განათლებამ ამ ბოლო წლებში მეტად დიდი ავტორიტეტი მოიპოვა. ამაზე თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ ბევრი ჩვენი სასწავლებელი მოსწავლეთა კონტინენტს იღებს საკონკურსო შერჩევით. გარდა ამისა, იზრდება ისეთ მოსწავლეთა რიცხვი, რომლებმაც საშუალო სკოლა წარჩინებით დაამთავრეს და სწავლის გაგრძელება პროფტექნიკური სისტემის სასწავლებელში გადაწყვიტეს. მიმდინარე სასწავლო წელს მოსწავლეთა რაოდენობამ 14 500 შეადგინა. მოსწავლეთა ძირითადი ნაწილი თავისი სურვილით მოდის ამა თუ იმ საპატიო პროფესიის დასაუფლებლად.

**ე. სოლომონია:** საესებით გეთანხმებით. მაგალითს დიდი ძალა აქვს. სანიმუშოდ 112-ე სკოლას დავასახელებ. ამ სკოლის მოსწავლეები წინათ რატომღაც არ „წყალობდნენ“ ჩვენს



სერგო რიგვავა

პროფტექნიკურ სასწავლებელს, მაგრამ მერე მოვიდა ერთი მოსწავლე, გაეცნო ჩვენს საქმიანობას, კარგად ჩაუღრმავდა და ყველაფერი თვალნათლივ დაუხატა ამხანაგებს. გავიდა მცირე დრო და მას სხვებმაც მიბადეს.

**ე. კვანტალიანი:** როგორც ჩანს, ამ სკოლაში სათანადო ყურადღებას ვერ უთმობდნენ პროფორიენტაციის საკითხს. საჭიროა მეტი პროპაგანდა, ოღონდ არა შიშველი, არამედ ხელშესახები, თვალსაჩინო მაგალითით

ესრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-85 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებებიდან.

გამდიდრებული პროპაგანდა. რა დასამალია, მოსწავლეებს კი არა, ბევრ პედაგოგსაც კი ძალზე ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს პროფტექნიკურ სასწავლებელზე.

**ს. რიგვავა:** ალბათ ამითაც აიხსნება, რომ ზოგჯერ სკოლა თავიდან იცილებს ე. წ. „ძნელად აღსაზრდელ“ მოსწავლეებს და პროფსასწავლებელში აგზავნის.


**ე. სოლომონია:** ძალიან გვიჭირს ასეთ ახალგაზრდებთან მუშაობა. საოცარია, მაგრამ მათ სკოლიდან კარგი დახასიათება მოაქვთ.

**ე. კვანტალიანი:** სკოლამ რომ მოსწავლეს ცუდი დახასიათება მისცეს, სასწავლებელი მას აღარ მიიღებს. მოზარდი შესაძლოა მრუდე გზას დაადგეს. ჩვენ გვჯერა, რომ სასწავლებელს შესწევს უნარი ჩაუნერგოს ახალგაზრდას შრომის სიყვარული, კოლექტივის, უფროსების პატივისცემა.

დიახ... პროპაგანდაზე მოგახსენებთ. ჩვენი, 119-ე სკოლის მაგალითი ავიღოთ. 1965-1968 წლებში სამსამი რვაკლასდამთავრებული უნდა გაგვეშვა პროფტექნიკურ სასწავლებლებში და ამ გეგმასაც ვერ ვასრულებდით. ახლა? შარშან 22 მოსწავლის ნაცვლად 34 წავიდა! ამათგან 18 რვაკლასდამთავრებული მარტო ერთი, 110-ე პროფტექნიკურ სასწავლებელში ჩაირიცხა. 1978 წელს საშუალო სკოლის თოთხმეტმა კურსდამთავრებულმა 43-ე პროფტექნიკურ სასწავლებელში განაგრძო სწავლა.

ერთი სიტყვით, ბავშვებმა თანდათან შეიგნეს ამ გზის სიკეთე და მომგებიანობა. ამაში მათ დაეხმარა პროფტექნიკურ სასწავლებელთა პედაგოგების და ოსტატების, აგრეთვე სკოლის აქტიური მუშაობა. ჩვენ რეგულარულად ვაწყობთ ექსკურსიებს, საუბრებს, სხვა ღონისძიებებს ადგილზე და ამა თუ იმ საწარმოში. სკოლაში თვალსაჩინო ადგილას მოწყობილი გვაქვს პროფორიენტაციის კუთხე, სადაც დახასიათებულია ყველა პროფტექნიკური სასწავლებელი, მისი პროფილი. მოცემულია შესაბამისი ფოტოილუსტრაცია, მითითებულია მისამართი.

**მ. მოსეშვილი:** სწორად ითქვა, ბევრს მართლაც არა აქვს წარმოდგენა პროფტექნიკური განათლების სიკეთეზე. ჩვენი სასწავლებლის ერთ-ერთი წარჩინებული მოსწავლეა თამარ ფილაური, რომელიც 5 %-ში მოხვედრის რეალური კანდიდატი გახლავთ. ადრე იგი საგარეჯოს რაიონის კაკაბეთის საშუალო სკოლაში სწავლობდა. ის იყო, წარჩინებით და-



თამარ სოლომონია

ასრულა VIII კლასი, რომ იმ სკოლაში სტუმრად მისული ჩვენი პედაგოგის, მზია თოდუას საუბარი მოისმინა, მოისმინა და ვეღარ მოისვენა, განაცხადა, აუცილებლად 36-ე პროფტექნიკურ სასწავლებელში უნდა წავიდე, თუ იქიდან უმაღლესში მოვეწყობი, ხომ კარგი, მცოდნე ინჟინერი დადგება ჩემგან, თუ არა და კარგი მქსოველი მაინც გამოვალო. სკოლაც არ ელევოდა მოწინავე მოსწავლეს, მშობლებმაც ქვა აადდეს და თავი შეუშვირეს. ის კი არა, პირველ სექტემბერს ბევრს ეხვეწნენ ეთერ სოლომონიას, იქნებ თქვენ გადაათქმევინოთ... მაგრამ... თამარ ფილაური დღეს ჩვენთან არის და თვითონაც და მისი მშობლებიც ძალიან კმაყოფილები არიან...

**ნინო ლომია,** ზუგდიდის რაიონის მე-2 საშუალო სკოლის ყოფილი მოსწავლე: მეც ჩემი სურვილით მოვედი სასწავლებელში. გაზეთში წავი-

კითხე სტატია „სასწავლებელი გელით“ და გადაწყვიტე ამ სასწავლებელში გამეგრძელებინა სწავლა. მშობლებიც დამეთანხმნენ. მიხარია, რომ იმედი არ გამიცრუვდა, სასწავლებელი ბევრად უკეთესი აღმოჩნდა, ვიდრე წარმოდგენილი მქონდა. ჩემთვის და ჩემი მეგობრებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სასწავლებლის სახელოვან ტრადიციებს, ვეცდებით არ ვულაღატოთ მათ. ჩვენი კლასის დევიზია: „ვიყოთ სანიმუშო სწავლასა და ყოფაქცევაში“.

**ე. სოლომონია:** ჩვენს სასწავლებელში ჩამოყალიბებულია სხვადასხვა წრეები, ვოკალისა და ცეკვის, ქალთა თმის ვარცხნილობის, კოსმე-

ტიკისა. გოგონები სიამოვნებით მეცადინეობენ ამ წრეებში.

**თამარიკო რამიშვილი:** მე თბილისის 143-ე სკოლიდან მოვედი. ჩემი მშობლები პროფესიით მებაბრემეები არიან, თვითონ მირჩიეს ამ სასწავლებელში გამეგრძელებინა სწავლა. ერთხელ კლასის დამრიგებელმა ლოლა სებისკვერაძემ ექსკურსიაზე წაგვიყვანა 36-ე პროფტექნიკურში. როცა გავიგონე დაზგების გუგუნის, დავინახე ლამაზად მოწყობილი კლას-კაბინეტები, იდეალური სისუფთავე, აღარ შეეყოყმანებულვარ. მყავს კარგი მეგობრები, მზრუნველობაც არ გვაკლია საყვარელი პედაგოგებისაგან.

**ნ. კვანტალიანი:** ჩვენი სკოლის პედაგოგმა, მათემატიკოსმა ნ. პოპოვმა თავისი ქალიშვილი დაარწმუნა, 75-ე პროფტექნიკურ სასწავლებელში გავეგრძო სწავლა.

**ე. სოლომონია:** არც პატივცემული გიორგი კურტანიძე შეეყოყმანებულა, როცა თავის ქალიშვილს ჩვენთან მოსვლა ურჩია. მარინა ახლა მათემატიკის კლასშია, წარჩინებითაც სწავლობს და სპეციალობასაც ეუფლება. ბევრი მშობელი ვიცი, სიამოვნებით რომ გზავნის თავის პირმშოს ამა თუ იმ პროფტექნიკურ სასწავლებელში.

**მ. მოსეშვილი:** ამკარად შეინიშნება ერთი რამ: პროფტექნიკური სასწავლებელი აბსოლუტურად დადებითად მოქმედებს არა მარტო მოწინავე აკადემიური წარმატების მქონე და დისციპლინიან მოსწავლეებზე, არამედ იმათზეც, ვინც ჩამოთვლილი თვისებებით მაინცდამაინც ვერ დაიკვებნის.

სასწავლებელში 23 მასწავლებელი და 32 ოსტატია. არც ერთი მათგანი ზრუნვასა და ყურადღებას არ აკლებს მოსწავლეს. თითოეულ მათგანზე შედგენილია დემოგრაფიული ყურნალი, რომელშიაც მასწავლებელი ყოველთვის ურად აკეთებს ჩანაწერებს მოსწავლის სწავლისა და ყოფაქცევის შესახებ. კლასებს შორის გამოცხადებულია სოციალისტური შეჯიბრება სწავლასა და სანიმუშო ყოფაქცევაში, სისუფთავეში. სასწავლებლის სახელოვანი ტრადიციების დაცვა თითოეული მოსწავლის ვალდებულებაა. დამყარებული გვაქვს მჭიდრო კავშირი მოზარდთა ოჯახებთან; ყოველთვის ვიცით გაკვეთილის გაცდენის მიზეზი. ზოგჯერ ჩვენი ჩარევა არც არის საჭირო, თვი-

თონ თანაკლასელები ტექსტს წაიკითხა და დისციპლინის დამრღვევებს.

**ს. რიგვაია:** მოსწავლეებთან იდეურ-აღმზრდელი მუშაობას კომპლექსურად, სასწავლებლის მთელი კოლექტივის, საზოგადოების დახმარებით ვატარებთ.

ყველა წრე, ლექცია, საუბარი, შეხვედრა მოწოდებულია, რომ მოსწავლეში აღზარდოს მაღალი კულტურა, საბჭოთა ჰუმანიზმი, ინტერნაციონალიზმი, შრომის, ადამიანის სიყვარული, საბჭოთა კანონების პატივისცემა. ამაში დიდ დახმარებას უწევენ სასწავლებლებს ადგილობრივი პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანოების მუშაკები; აღნიშნულ ორგანოებთან ერთად ტარდება შინაარსიანი ღონისძიებანი მოსწავლეთა სამართლებრივი აღზრდისათვის.

**ე. სოლომონია:** შრომა დიდ გამაქვითი შრომობილებელ ზემოქმედებას ახდენს მოსწავლეზე. ჩვენს სასწავლებელში 24 თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი კლას-კაბინეტია. უცხო ენების შესწავლას ემსახურება 7 ლინგვოფონის კაბინეტი, გვაქვს შესანიშნავი სპორტული დარბაზი, ცალკე კორპუსი, სადაც მოსწავლეები შრომობენ და საკუთარ ნახელავს ქმნიან. კვირაში 3 დღე ეთმობა თეორიულ მეცადინეობას, 3 კი — საწარმოო პრაქტიკას. ძირითადად ჩვენთან ეუფლებიან სამ პროფესიას: ქსოვას, კრა-კერვასა და რთვას.

სასწავლებელს თავისი გეგმა აქვს. სიამაყით უნდა აღვნიშნოთ, რომ ხუთწლედის გეგმა ორწელიწადნახევარში შეგასრულეთ. პირველკურსელები ამზადებენ ლეების პირებს, კრიან კაპრონის ლენტებს, II-III კურსელები კი პრაქტიკას საწარმოში გადიან. უხარიათ, როცა საკუთარ ნახელავს ხედავენ, რწმუნდებიან საკუთარ შესაძლებლობებში.

**მ. მოსეშვილი:** ამას თვალსაჩინოდ ადასტურებს ფატი კახიშვილის მაგალითი. ფატი ჩვენთან 119-ე საშუალო სკოლიდან მოვიდა...

**ფ. კახიშვილი:** 119-ე საშუალო სკოლაში რომ ვსწავლობდი, ჩემი და მარინა უკვე 36-ე პროფტექნიკურში დადიოდა. პირველმა მან მიჩიია, მის გზას გავყოლოდი, დედაც სიხარულით შეხვდა ამ ამბავს. ჰოდა, ის იყრა კლასი დავასრულე და სექტემბერში ჩვენს სასწავლებელში ჩავიბრუნე.

**მ. მოსეშვილი:** უნდა გამოვიტყუდე, თავდაპირველად გაუჭირდა ფატის სასწავლებელში დამკვიდრებულ წესებთან შეჩვევა. ხშირად არა, მაგ-



პაპ პატრიარქილი გურჯაანიდან, მანდარის საშუალო სკოლიდან მოვიდა. ამ აღარაპის ეპიკვება, რომ მისგან კარგი მსოველი დაღვება.

რამ დროდადრო მაინც აცდენდა გაკვეთილებს.

**ნ. კვანტალიანი:** ამგვარი „თავისუფლებისაკენ“ მიდრეკილება სკოლაშიც ახასიათებდა ფატიც...

**მ. მოხეშვილი:** რამდენჯერმე მივაკითხე სახლში, რაც მართალია, მართალია, ყოველთვის შინ დამიხვდა. სიზარმაცეს ვერ სძლევდა თურმე, როგორც გამოირკვა. მერე თანდათან აულო ალლო სასწავლებელში დამკვიდრებულ სიტუაციას. ახლა აღარ აცდენს ხოლმე გაკვეთილებს. მართალია, წარჩინებულ მოსწავლეთა რიგებში არ ირიცხება. მაგრამ არც ჩამორჩენილია და სპეციალობასაც წარმატებით ეუფლება. ეტყობა, საკუთარი თავის რწმენა შეემატა.

**ზოია კახიშვილი (ფატიც დედა):** ეს მართალია, ჩემი ფატი უფრო თავდაჯერებული გახდა. მარტოხელა ქალი ვარ, ქარხანა „ცენტროლიტში“ ვმუშაობ და ვცდილობ, არაფერი მოვაკლო ბავშვებს (ფატიც გარდა შინ ერთი გოგონაც მყავს. სოფიკო, მე-7 კლასში სწავლობს; უფროსი ქალიშვილი გავათხოვე). ჯერჯერობით საკუთარი ბინა არა გვაქვს და, რა დასამალია, გვიჭირს. ფატი მეუბნება: ნუ გეფიქრება, დედიკო, აი, დავამთავრებ სასწავლებელს, ჩემი სპეციალობით ვიმუშაებ და მხარში ამოგიდგები, შრომას შეგიმსუბუქებო.

**ე. სოლომონია:** ფატი კახიშვილი, სხვა ჩვენი მოსწავლეების მსგავსად, სასწავლებლის დამთავრების შემდეგ უზრუნველყოფილი იქნება სამუშაოთი.

**ს. რიგვაჯა:** ყველა პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელს აქვს საბაზო საწარმო ორგანიზაცია, რომელსაც ძირითადად იგი უმზადებს კადრებს. როცა სასწავლებელში ჯგუფი იხსნება, იგი უკვე გათვალისწინებული საბაზო საწარმოში სამუშაოდ, უკვე ელოდება დაზვები, ჩარხება,


სამუშაო ადგილები. ასე რომ ყოველი სასწავლებლის, ჯგუფის განსნა, ახალი სპეციალობის სწავლება მკაცრად არის განსაზღვრული სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ დარგის საჭიროებით.

ყოველ წელს საშუალოდ 30 ათასი ახალგაზრდა ამთავრებს პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელს. თითქმის ყველა მათგანი საგზურით ნაწილდება შესაბამის საწარმოებში, ორგანიზაციებში.

**ნინო ჩილოშვილი.** ქაქარდულ აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშა: 36-ე პროფტექნიკური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დავიწყე თბილისის ქაქარდულ აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკაში. კომკავშირული ბრიგადის წევრი ვარ. შრომის ანაზღაურება გამოიმუშავების მიხედვით არის. ჩემი საშუალო ხელფასი 200 მანეთამდე აღწევს. ფაბრიკაში 700-ზე მეტი ახალგაზრდა მუშაობს. ხალისიანი და საინტერესო ცხოვრებით ცხოვრობს ჩვენი კოლექტივი. ჩამოყალიბებულია მხატვრული კითხვის, ხალხური ცეკვის, ხალხურ საკრავთა წრეები, ვაწყობთ ექსკურსიებს. კოლექტიურად ვესწრებით კინოსურათებს. თეატრალურ სპექტაკლებს.

მე მინდა პუშკინის სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩავაბარო რუსული ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ვისწავლო და თან ვიმუშაო. ცხოვრება ვერ წარმომიდგენია ჩემი ფაბრიკის, ჩემი მეგობრების გარეშე.

**ე. სოლომონია:** ნინო ჯერ კიდევ ჩვენთან, სასწავლებელში გამოირჩეოდა სამაგალითო შრომისმოყვარეობით. თავისი კეთილსინდისიერ მუშაობით. ეხერგოთ მან თავი გამოიჩინა კოლექტივში. ნინო სკკ წი-



ლენა შულაია (მარცხნივ) და ნინო ლაიიშვილი წარმატებით ეუფლებიან მსოფლიოს პროფესიას.

რობის კანდიდატი. ბუნების დაცვის კომიტეტის წევრი. კულტ-მასობრივი მუშაობის ხელმძღვანელი. საქალაქო საბჭოს დეპუტატი. ნამდვილად გვეამაყება, რომ ჩვენი სასწავლებლის აღზრდილი ასეთი სახელოვანი და შრომისმოყვარე ადამიანია.

**ნინო ჩილოშვილი:** ქალბატონო ეთერ. პირადად იქვენი და მთელი პედაგოგიური კოლექტივის დამსახურებაა, რომ მე საყვარელი პროფესია მაქვს. მყავს კარგი მეგობრები და, რაც მთავარია, სწორად ავირჩიე ცხოვრების გზა.

**ს. რიგვაჯა:** მე-11 ხუთწლედში გათვალისწინებულია პროფტექგანათლების სასწავლებელთა ქსელის გაზრდა 30-35 ერთეულით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველოს თითქმის ყველა რაიონს, ქალაქს საშუალება ექნება ადგილზე, თავის პროფტექნიკურ სასწავლებელში მოამზადოს სკოლა კადრები. რაც მთავარია, გაიზრდება იმ ახალგაზრდების რიცხვი, ვისაც საშუალო ზოგად განათლებასთან ერთად ექნება მუშური პროფესია მესამე-მეოთხე თანრიგის დონეზე. სწორია ეს გზა — თეორიული და პრაქტიკული საქმიანობის შერწყმით განათლების მიღების გზა.

საუბარი მიჰყავდათ ნ. ფაველნიშვილსა და ნ. აფხაზაშვილს



ოსტატ ნარგიზ ჯიმშაღვიშვილის დარიგებას გულიანურით იხმენენ მითვალაგი: ნალი გულაღაშვილი და თინა თათარაშვილი.

# კულთეკვი!



ჩვენს ოქსაღმეთოკას ახალგაზრდობისათვის კარგად არის ცნობილი ნარკიზა შგელაძის სახელი, სახელი ჟურნალისტიკისა, რომლის შემოქმედება ხასიათდება მაღალი მოქალაქეობრივი პრინციპულობით, საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის უცხო, შიშნ მოვლენების — უსამართლობის, პიუროკრატისმის, მომხვეჭელობისა და სხვა მახეერების წინააღმდეგ შეუტრეგებელი ბრძოლის პოზიციით. დანსპაროს ახალგაზრდა ადამიანს ნათელი მოწვევა — კენ გზის გაკაფვაში, განუტკიცოს ჰუმანურობის, სიყვარის ოქმენა — შ. შგელაძის მოღვაწეობის თაკილათაკია.

ნარკიზა შგელაძე ჩვენს ჟურნალის ერთ-ერთი უახლოესი თანამშრომელი და თანამდგომია „პაიონერის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ მის მოთხრობებს, ნარკვევებს და წერილებს შუდამ ცხოვლად ესმეურეკან სოღმე ნორჩი მკითხველები. რასაც მოწმობს რედაქციაში გამოგზავნილი ბარათები.

ამას წინათ საქართველოს აღმე ცენტრალური კომიტეტის პიურო გადაწვეტილებით წიგნებისათვის კარ შეიძლება გასწე ითვე და „ვის ვართმევე ხელს“ ნარკიზა შგელაძეს საქართველოს კინეკრატის პრემია მიენიქა.

ჟურნალ „პაიონერის“ რედაქცია და სარედაქციო კოლეცია ნორჩ მკითხველებთან ერთად გულითადად უღოცავენ საქართველოს სსრ დამსახურებულ ჟურნალისტს ნარკიზა შგელაძეს ამ საპატიო ჭილდოს და შესურვებენ ახალ წარმატებებს თავის კეთილშობილურ საქმიანობაში.

## ს ა ჭ ი რ ო ა ვ ი ო ც ნ ე ბ ო თ !

ნ ა ზ ი კ ი ლ ა ს ო ნ ი ა

გამარჯობა, აყვავებავ,  
სიფრიფანა მიმოზებო,  
საჭიროა, საყვარლებო,  
საჭიროა ვიოცნებოთ!

სანატრელთა მოგებებავ,  
ლურჯად ლურჯო იონჯებო,  
საჭიროა, მეგობრებო,  
საჭიროა ვიოცნებოთ!

მაისისპირ განვიმებავ,  
წყალუხვობის ნილოსებო,  
საჭიროა, ყმანვილებო,  
საჭიროა ვიოცნებოთ!

სახელებო ედემისავ,  
გიორგებო,  
იოსებნო,  
მწვერვლებზე შეტევისას  
საჭიროა ვიოცნებოთ!

სულგრძელობის კილობანო,  
იათასებო,  
იოცებო,  
იდეალებს მინდობილნო,  
საჭიროა ვიოცნებოთ!

ცისიებო,  
ნათელებო,  
ქართულ ზეცის ფიორ-ცებო,  
ტოროლებში გათენებავ,  
საჭიროა ვიოცნებოთ!

იამზებო,  
ლამარებო,  
გულს ნუმც ფიქრით იოსებთო,  
ერთი სიტყვა დამანებეთ —  
საჭიროა ვიოცნებოთ!

ფიცი თქვენი მტკიცედ მტკიცე:  
— მამულისთვის ვილოცებთო,  
რაკი გვფარავს, რაკი გვიცავს,  
საჭიროა ვიოცნებოთ!

დიდსოფელთა ტაძრეულნო,  
მერეთებო, იონჩებო,  
ჩამძივულო განძეულო,  
საჭიროა ვიოცნებოთ!

მწვერვლებო აწეულნო,  
ბარო, ოქროს ტილოსებრო,  
აღმოსაჩენ განძეულზეც  
საჭიროა ვიოცნებოთ!

მოფიფივე ხომლეულო,  
მგალობელთა კილოსებრო,  
გალატეკის ხომალდებზე  
საჭიროა ვიოცნებოთ!

მინის მცირე სინჯარიდან  
დანყებულო იოლ-ცდებო,  
სინათლეთა სიჩქარეზე  
საჭიროა ვიოცნებოთ!

ურთულესო თეორემავე,  
მიგანგებთ თუ გიოცებთო,  
გვექია ცოდნის მეომრები,  
საჭიროა ვიოცნებოთ!

ითქრიალეთ, სისხლ-ძარღვებო,  
ენგურისებო,  
იორსებო,  
რაკი გვწადის ამაღლება,  
საჭიროა ვიოცნებოთ!

მშვილდის ლარად დაჭიმულნო,  
სოსიკებო,  
გიორჩებო,  
საჭიროა, საჭიროა,  
საჭიროა ვიოცნებოთ!





# საქართველოს 60 წლისთავი

ელისაბედ პეტრეს ასული გოგა-  
ლიშვილი კომ სახელობა და უდ-  
რეკ ქართველ რევოლუციონერ ქალ-  
თა პლეადას ეკუთვნის. ვინც მთელი  
შეგნებული სიცოცხლე ხალხის თავი-  
სუფლებისა და უკეთესი მომავლი-  
სათვის ბრძოლას მოახმარა.

საინტერესო, მძიმე და ძნელი  
ცხოვრების გზა განვლო ელისაბედ  
გოგელიშვილმა; იგი დაიბადა 1882  
წელს ქ. თბილისში. მოსამსახურის  
ოჯახში. წამოიზარდა თუ არა, მშობ-  
ლებმა კერვის სკოლაში მიაბარეს.  
ელისაბედი სწავლის გაგრძელებაზე  
ოცნებობდა. მაგრამ ოჯახის სიდუხ-  
ჭირემ აიძულა, ადრე გათხოვილიყო.

დგებუადის, ვ. გამულაშვილის დ.  
სხვათა ჩუფთი. მათი უშუალო ხელ-  
მძღვანელობითა და დახმარებით რე-  
ვოლუციონერი ელისაბედ კაპანაძე  
1905-1907 წლებში და შემდგომაც  
აქტიურად მონაწილეობდა მეფის  
მთავრობის წინააღმდეგ არალეგა-  
ლურ რევოლუციურ მუშაობაში.  
მოუწოდებდა ბრძოლისაკენ მუშათა  
ფართო მასებს. ორგანიზაციის ყვე-  
ლა დავალებას ერთგულად და გაბე-  
დულად ასრულებდა. საპასუხის-  
მგებლო დავალებებსაც აძლევდნენ.  
ხშირად გზავნიდნენ საქართველოს.  
სომხეთისა და აზერბაიჯანის სოფ-  
ლებსა და დაბებში.

ალებას. მართალია, შეუგნებლად.  
მაგრამ მაინც უშიშრად ასრულებ-  
და. ეს კი პეტრეს ნიშნავდა. გარდა  
დარჩენილი რევოლუციონერები მონა-  
სტორული ზომის წერილებს ლი-  
ლეტში ათავსებდნენ და ბავშვის პალ-  
ტოზე ამაგრებდნენ. ამის შესახებ  
წინასწარ იცოდა ელისაბედმა. რო-  
მელიც ციქში მის სახანავად მისულ  
ანიჩკას, პალტოზე ღილებს ფრთხი-  
ლად აძრობდა და მიღებულ ასლი  
ინფორმაციის საფუძველზე პატიმ-  
რებში თვითმპყრობელობის საწინაა-  
ღმდეგო იდეების პროპაგანდას განა-  
გრძობდა.

## უშუალო საქმიანობა

მას შემდეგ იგი ქმრის გვარით (კა-  
პანაძე) მოიხსენიება.

1902 წელს ე. კაპანაძეს ქალიშვი-  
ლი შეეძინა, რომელსაც ანა დაარქ-  
ვეს.

ელისაბედ კაპანაძე გარეგნულ  
მომხიბველობასთან ერთად გამჭ-  
რიახობით, ხასიათის სიმტკიცითა და  
სიმამაცითაც იქცევადა ყურადღებას.  
ყმაწვილობიდანვე ვერ ეგუებოდა  
მშრომელების ჩავერას და ამიტომ  
ხშირად მონაწილეობდა რევოლუ-  
ციურ გამოსვლებში. თეიმურაზ (ვა-  
ნო) კაპანაძეს არ მოსწონდა მეულ-  
ლის სიახლოვე მუშებთან, თავად  
ქედმაღლობდა. მუშებს აბუჩად იგ-  
დებდა და ზოგჯერ შეურაცხყოფდა  
კიდევ. ცოლ-ქმარს შორის ამ საკით-  
ხზე გაჩენილი უთანხმოება მალე  
გაყრით დამთავრდა.

მეფის ოხრანკას შეუმჩნეველი არ  
დარჩენია ელისაბედ კაპანაძის რე-  
ვოლუციური საქმიანობა. დიდი ხნის  
ძებნის შემდეგ ბოლშევიკთა არალე-  
გალურ ბიანსაც მიაკვლიეს. 1908  
წლის 11 ივლისს მეფის ხელისუფ-  
ლების სალდათებმა ქალაქის თავის  
თანხლებით გაჩხრიკეს და დააწიოკეს  
ელისაბედ კაპანაძის და მისი მშობ-  
ლების ოჯახი, ხიშტებით დაჩ-  
ხვლიტეს ლეიბები და ბალიშები,  
არაფერი იყო. დაუბატიყებელმა  
სტუმრებმა არალეგალური, მარქსის-  
ტული ლიტერატურითა და პროკლა-  
მაციებით ტომრები აავსეს, საფუ-  
ბერნიო ციხის ყანდარმთა სამმართ-  
ველოს უფროსის ბრძანებით. სარ-  
დაფიდან ბომბები ამოიღეს. გერმანე  
მგალობლიშვილი და ელისაბედ კა-  
პანაძე დააპატიმრეს და მეტეხის ცი-  
ხეში ჩასვეს. დაიწყო რევოლუციო-  
ნერთა ტანჯვა-წამება და აბუჩად აგ-  
დება. პატიმრების ნახვასა და მათთ-  
ვის საქმლის მიტანის ნებას დიდხანს  
არავის არ აძლევდნენ. აქაც, — ცი-  
ხის მძიმე პირობებში ელისაბედის  
იდუბური ხელმძღვანელი და იმედის  
მომცემი იყო გერმანე მგალობლიშ-  
ვილი, რომელსაც პატიმრებისა და  
ზოგიერთი ზედამხედველის საშუა-  
ლებით ციხეშიც არ გაუწყვეტია კავ-  
შირი პოლიტიკურ პატიმრებთან.

1908 წელს მეფის სასამართლომ  
ელისაბედ კაპანაძეს აქტიური რევო-  
ლუციური საქმიანობისათვის, აკრძა-  
ლული ლიტერატურისა და პროკლა-  
მაციების გავრცელებისათვის, ფეთ-  
ქებად ნივთიერებათა დასამზადებე-  
ლი ლაბორატორიის მოწყობისა და  
ბომბების დამზადებისათვის ციხიბრ-  
ში ხანგრძლივი გადასახლება მიუ-  
საჯა.

გადასახლებიდან დაბრუნების შემ-  
დეგ ელისაბედი კვლავ განაგრძობდა  
არალეგალურ რევოლუციურ საქმიან-  
ობას. მუშებთან დაახლოების და  
რევოლუციური საქმიანობის გააქ-  
ტივების მიზნით, მან თბილისის რკი-  
ნიგზის დეპოში დაიწყო პურის წერ-  
ტის გამგედ მუშაობა. ამასთანავე,  
მუშებს შორის ისევ ავრცელებდა  
არალეგალურ ლიტერატურას. საზო-  
გადოებრივ ადგილებში აბნევდა  
პროკლამაციებს, ეწეოდა მეფის წყო-  
ბილების საწინააღმდეგო იდეათა  
პროპაგანდას. გადიოდა დრო, რევო-  
ლუცია ძალში შედიოდა. ახლოვდე-  
ბოდა მეფის ხელისუფლების დამხო-  
ბისა და საბჭოთა წყობილების გამარ-  
ჯების წელი. მაგრამ დუხჭირი ცხო-  
ვრებით, ციხეებსა და კატორღაში  
შრომით განგატეხილი რევოლუციო-  
ნერი ქალი დიდი ოქტომბრის გამარ-  
ჯებას ვერ მოესწრო. იგი 1916 წლის  
გაზაფხულზე გარდაიცვალა. კუკიის  
სასაფლაოს მიწამ მიიბარა სამშობ-  
ლოსა და ხალხის წინაშე ვალმოხ-  
დილი ელისაბედ კაპანაძის ნეშტი.  
მის სახელს დავიწყების ხავსი  
არასდროს მოეკიდება.

ქმარიან გაყრის შემდეგ ელისაბე-  
დი თავისი პატარა ანიჩკათი გადასა-  
ხლდა გუდაურის ქუჩა № 2-ში მდე-  
ბარე ბინაში, მშობლებთან. მალე ეს  
ბინა რევოლუციონერების არალეგა-  
ლური შეკრებების მოსაწყობ, აკრძა-  
ლული ლიტერატურის შესანახ და  
ბოლშევიკების სათათბირო ადგილად  
იქცა.

ელისაბედი ჭრა-კერვას ოსტატუ-  
რად უკავშირებდა რევოლუციურ  
საქმიანობას. ხშირად დადიოდა თბი-  
ლისის რკინიგზის დეპოში, სადაც  
გაეცნო და დაუმეგობრდა მოწინავე  
მუშებს, ბოლშევიკებს და მალე ვაკ-  
ზლის რევოლუციური ორგანიზაციის  
აქტიური წევრიც გახდა. ამ პერიოდ-  
ში აქ მოქმედებდა ცნობილ პროფე-  
სიონალ-რევოლუციონერთა—გ. მგა-  
ლობლიშვილის (ბოლქვაძე), ი. მგე-  
ლაძის, ი. იმერლიშვილის, ტ. ჯაშის,  
ზ. გელოვანის, ი. გოგიბერიძის, დ.

6 წლის იყო ანიჩკა. როცა დედაში-  
სი დააპატიმრეს. პატარა გოგონა შინ  
მოხუცი ბაბუა პეტრესა და ბებია  
სოფოს იმედზე დარჩა. როდესაც  
მოზრდილებს ციხეში პატიმრის სა-  
ნახავად არ უშვებდნენ. ისინი ანიჩკას  
საშუალებით ამყარებდნენ კავშირს  
ელისაბედთან. ბავშვი რევოლუციო-  
ნერების ჩრევა-დარიგებებსა და და-

სპარტაკ რეხვინაშვილი.  
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.





გორი კორნაპონდენტო ჟურნალი № 3

**სრავა**

რამდენიმე წელია ბავშვებთან ვმუშაობ პროფტექნიკურ სასწავლებელში და ხშირად არა, მაგრამ დროდადრო ადრეც შემხვედრიან ჩაცმას გადაყოლილი მოზარდები. ბოლო ხანს კი, რა დასამალია, უფრო მომრავლდა მათი რიცხვი — როგორც ჩანს, ძალზე გადაძვინებულნი სენია წამხედურობა. წამხედურობა და წაბრი.

თავისთავად ცხადია, „ჯინსომანია“ და „ველვეტომანია“ საგრძნობ ტვირთად აწვება და დაღს ასვამს ხოლმე ოჯახის ფინანსურ შესაძლებლობებს და ხშირად მშობელი იძულებული ხდება ან ძალთა მაქსიმალური, ზღვრამდე მისული დაძვინებით იმუშაოს, ან „სარკინი“ სამსახური მოძებნოს, ან... ან...

მაგალითი გნებავთ? ინებეთ. ჩვენს სასწავლებელში ერთ-ერთი სკოლიდან მოვიდა გოგონა გ. ი. მოხდენილი გარეგნობის პატრონს ლამაზად, გემოვნებიანად ეცვა. კარგი სპორტსმენიც გამოდგა, როგორც გავიგეთ, მწვრთნელები მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ. გავიხარდა ყველაფრით შემკული ქალიშვილის შემომატება.

გ. ი. ორიოდ თვეს რეგულარულად დადიოდა თეორიულსა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე, მერე კი ნელ-ნელა მოუხშირა გაცდენებს. ამის მიზეზად ხან დედის ავადმყოფობას ასახელებდა, ხან სპორტულ ტრავმას, ხანაც ვაკიებებს და თავის ტკივილს. ორ-სამჯერ სახლში მივაკითხე. ყოველთვის შინ დამიხვდა, მაგრამ ავადმყოფს არაფერი უგავდა.

ერთხელ ისეთ დროს მივედი, დედამისიც შინ იყო (მამა არა ჰყავს). აქედან მოვუარე, იქიდან მივუდექი და, როგორც იქნა, ორივენი გულახდილ საუბარში გამოვიწვიე.

და რა გამოირკვა: გ. ი.-ს თურმე კატეგორიული მოთხოვნა წაუყენებია დედისათვის — ვიდრე 250 მანეთიან ველვეტის შარვალს არ მიყიდი, პროფტექნიკურ სასწავლებელში ფეხს არ დაგადგამო!..

არადა, თურმე მანამდე რამდენი ძვირფასი რამ უყიდა დედას ქალიშვილისათვის — უცხოური ფეხსაცმელი, უცხოური სვიტერი, უცხოური კაბა, უცხოური კურტაკი...

— ახლა შარვალი მომთხოვა, — დაიჩივლა დედამ. — რა ვქნა, ჯანმრთელობა ხელს არ მიწყოფს და ამიტომ შედარებით იოლ სამსახურში ვმუშაობდი. ხოლო ეს რამდენიმე დღეა, სხვაგან გადავედი. ახლა დამითაც ვმუშაობ, რათა როგორმე იმდენი ვიშოვო. ამას შარვალი ვუყიდო, თორემ ვიცი მაკავს ამბავი, არ წავაო პროფტექნიკურ სასწავლებელში...

ამჯერად არ გამართლდა დედის შიში. გ. ი. მეორე დღესვე წავიდა და ახლაც რეგულარულად დადის სასწავლებელში, რადგან იმ დღეს ფრიად სერიოზული და კატეგორიული საუბარი გაიმართა ჩვენ სამსჯობრის... გოგონამ, ვფიქრობ, შეიგნო, რომ სწორად არ იქცეოდა. მაგრამ მანამდე ხომ მან ისეთი ტრავმა მიაცენა დედის გულს, რომ მასთან მონაგონია სპორტულ სეკციაში ვარჯიშისას მიღებული ყველაზე მძიმე ტრავმაც კი! და ხომ ჯობდა, ადრევე

დაფიქრებულიყო მოსალოდნელ შედეგზე!..

მარი მოსაუზონი.

თბილისის 36-ე პროფტექნიკური სასწავლებლის ოსტატი-პედაგოგი.

**სა პიანოზე პედაგოგია**

ძვირფასო რედაქცია! ამას წინათ წავიკითხე „აისში“ გამოქვეყნებულ ქუთაისელი ლალი დ.-ის წერილი, წავიკითხე და გული დამწყდა. ჩაფიქრდი. სამწუხაროდ, ასეთი ეგოისტები ჩვენს გვერდით ჯერ კიდევ არიან.

თუ არა ეგოისტს, სხვას ვერაფერს უწოდებ იმ გოგონას. გაათმაგებულ შრომის საფასურს რომ ჰრეგულარულად ტანსაცმელში აფლანგინებს დედას.

უფრო მეტიც. მე ის გოგონა, ცირა მეცოდება. განა შეიძლება ვინმე იყოს იმ ადამიანზე საცოდავი, სხვა უკეთესი, სულიერი ვასეულობა და ინტერესი, ან თუნდაც ღირსება რომ არ გააჩნია და ცდილობს მხოლოდ გარეგნული ეფექტით მიაღწიოს ცხოვრებაში იმას, რასაც სხვა გარჯითა და განათლებით აღწევს.



**გაზაფხული**

გაზაფხულზე ყვავის ნუში, ვაშლი, მსხალი, ატამი... გაიღვიძებს ლურჯი ია, მზის სხივებით დამტკბარი.

გაიღვიძებს ენძელა, უჰ, რამდენ ხანს ეძინა! ამღერდება წყარო: — რა ლამაზი ხარო!

ხათუნა შურაშვილი,  
თბილისის 161-ე საშუალო სკოლა, III კლასი.

**რა დამავიწყებს!**

რა დამავიწყებს იმ მტრედისფერ განთიადებს, ფირუზოვან შეღამებებს, გასულ ზაფხულს ცხვარიჭამის მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის პიონერულ ბანაკში რომ ვიხილე!

ჩვენს გვერდით ათასწლოვანი ტყე ბუბუნებდა, ტყის პირას წყაროს-თვალის ჩუხჩუხებდა. წყაროს გარშემო მინდორის ყვავილები ყელყელობდნენ. ესეც არ ვიკმარეთ, — ნორჩ ნატურალისტთა წრის წევრებმა, წრის ხელმძღვანელის სოფო აფციაურის თაოსნობით ბევრი ლამაზი სურნელოვანი ყვავილი გავახარეთ და იქაურობა წალკოტს დავამსგავსეთ.



— დარბაზ... პრინს! — წააღ მარ უ ა შ ვ ი ლ ი, თერგოლის 1-ლი საშ. სკოლა.



# თინა წაკისელი

XVIII საუკუნის ქართველი სახალხო გმირი ქალის თინა წაკისელის სახელი გულში აქვს შემონახული მის მშობელ ხალხს. ჩვენ არ ვიცით, თუ რომელ გვარეულობას ეკუთვნოდა იგი, ვიცით მხოლოდ მისი სახელი — თინა (თინია), და ის, რომ იგი დაბა წაკისის მკვიდრი ყოფილა.

თინას ამბავი ქართველ მოღვაწეს ასლან ბებუთაშვილს შეუტყვიდა მისი ძმისაგან, რომელიც 1817 წელს გარდაცვლილა თბილისში. ამ გადმოცემაზე დაყრდნობით, ცნობილი მკვლევარი და ისტორიკოსი დიმიტრი ჯანაშვილი თავის „ისტორიულ სურათებში“ ამბობს, თინა წაკისელი გაბაშვილთა ყმა იყო. ეს საეჭვოა, რადგან წაკისი არასოდეს ყოფილა გაბაშვილთა საბატონო მამული, იგი მუდამ საბარათიანო იყო.

თინა წაკისელს დედ-მამა ადრე დახოცვია და ბატონის კარზე დარჩენილა. მოხდენილი თინა ბატონს თვალში მოსვლია, სიამოვნებას იტყობს, მაგრამ გულის წადილი ვერ აუსრულებია. ღამით თინას ვისმდომი ბატონი ხანჯლით მოუკლავს და ისე გამოპარულა ბატონის სახლიდან, ვერავის ვერაფერი გაუგია...

მალე თინამ თავი ისახელა. ავმა ბატონებმა თურმე სპარსელებს ყმა გოგო-ბიჭები მიჰყიდეს. წესისამებრ, ბიჭები ცალკე გაურეკავთ და გოგონები, რომელთა შორის თინა წაკისელიც იყო, — ცალკე თინას გოგონები დაურიგებია: ღამით მე გუშავს მოკვლავ; თქვენც მძინარე სპარსელებს ხანჯლები ამოცალეთ და დახოცეთო. ასეც მოიქცნენ. მერე შეიარაღებულნი მტრის ცხენებზე ამხედრდნენ და მეფე ერეკლეს ეახლნენ.

ჩემს ნათქვამს ალბათ ზევს ვერაფერს მიუტანებ. მაგრამ ყველა ადამიანის, ყველა ბავშვის, ყველა პიონერისა და კომკავშირელის გასაგონად ერთხელ კიდევ მინდა ხმაძალა და გამოკვეთით ეთქვა: — ნურასოდეს ვიქნებით ეგოისტები!

ლალი ბაქრაძე,  
ცხინვალის მე-4 საშუალო  
სკოლა, X კლასი.

## მე არ მომწონს!

დიდი ინტერესით გავეცანი ქუთაისელი მოსწავლეს წერილს და ბევრ რამე მენიშნა.

მართლაც, ჩვენს გარშემო მრავლად არიან ახალგაზრდები, რომლებსაც ძვირფასი უცხოური ტანსაცმელი ოცნებად გადაქცევიათ და არაფერს დაგიდევენ, ოღონდ კი ეს ოცნება აიხდინონ.

მე არ მომწონს მათი საქციელი. მამაჩემი აჭარის ასსრ პროკურორია, დედას საპასუხისმგებლო თანამდებობა უკავია ფინანსთა სამინისტროში. საქმაოდ წელგამართული ოჯახი გვაქვს, მაგრამ მის არც ერთ წევრს

არასოდეს არ ჰქონია რაღაც განსაკუთრებით ძვირფასი ნივთის შეძენის სურვილი. არც მე, არც ჩემს ორ დას ერთხელაც არ შეგვიწუხებია დედ-მამა: ვინდა თუ არა, ეს კაბა და ფეხსაცმელი, ის პალტო და ქურჭი გვიყიდეთ. ყოფილა შემთხვევა, რომ ძალიანაც მოგვწონებია რაღაც, მაგრამ თავი შეგვიკავებია, მშობლებმა უკეთ იციან, რა უნდა გვიყიდონ და რა — არა.

სამწუხაროდ, მეც მყავს თითო-ორიოლა ისეთი ნაცნობ-ამხანაგი, დედას ან მამას რომ შეუჩნდებიან: სხვებზე ნაკლები რაღაც ვარ, სხვას თუ „საპოყებში“ აცვია, მე რა დავაშავეო. ისინიც ნებას დაჰყვებიან ხოლმე, ერთ ჩემს ნაცნობს, მაგალითად, 26მ მანეთიანი უცხოური პალტო დედამ 350 მანეთად უყიდა. იმ ოჯახის თვითონ შემოსავალი კი, რამდენადაც ვიცი, ოდნავ თუ აღემატება 350 მანეთს. რამდენ ასეთ შენაძენს გაუძლებს საოჯახო ბიუჯეტი?

არა, არ მომწონს ასეთი საქციელი!

ნათუნა ბორჩხაძე,  
ბათუმის მე-2 საშუალო  
სკოლა, VIII კლასი.

რა დამავიწყებს ექსკურსიების დროს საგურამოს ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის, მცხეთის კერამიკური ქარხნის, სვეტიცხოველის დათვალიერებით მიღებულ შთაბეჭდილებებს!

რა დამავიწყებს იმ მშობლიურ ზრუნვას, ბანაკის ახალგაზრდა თავკაცი ჯემალ ღვამბერიძე, უფროსი პიონერხელმძღვანელი ძუნგლი წიკლაური, აღმზრდელი-პედაგოგები რომ გვიწვედნენ მე და ჩემს თანატოლებს!

რამდენი მეგობარი შემძინა იმ ერთმა თვემ!

რა დამავიწყებს იმ ცისფერ დღეებს!

აპა გიორგოზიანი,  
თბილისის მე-10 საშუალო სკოლა,  
VII კლასი.

## ფრენა მინდებდა

რა ლამაზია მთვარე,  
რა ლამაზია ზეცა,  
მხიბლავს წყლის სიანკარე,  
ფრენა მინდებდა მეცა.  
დღით მზე დასცქერის თავზე,  
ვარსკვლავთა გუნდი ღამით,  
და შვენის დილა-სისხამს  
მწვანე მდელოზე ნამი.

ვაშლის ყვავილთა ალი  
წითლად გიზგიზებს, ელავს,  
რა საამოა, ლაღად  
მინდორ-ველებზე რბენა!  
ყაყაჩოების ცეცხლი  
როგორ ანათებს მდელოს!  
რა ძვირფასია ჩემი  
მშობელი საქართველო!

რონა გუშაბეიშვილი,  
ქ. ცხაკაიას მე-7 საშუალო სკოლა,  
VIII კლასი.

## რეპორტი

- მამაჩემი ცალი ხელით მანქანებს აჩერებს.
- უჰ, რა ღონიერი მამა გყოლია.
- ჰო, მილიციონერია.

- ბებია, გინდათ ჩემს ადგილზე დაჯდომა?
- მინდა, შვილო. გმადლობ.
- მაშინ გვერდიდან არ მომცილდეთ, მეორე გაჩერებაზე ჩავდივარ.

რუსულიდან თარგმნა  
გულიკო მჟავლიძემ.  
თეთრიწყაროს ქართული საშუალო  
სკოლა, V კლასი.

ქ. მარტის ხაზ. საქ. სსრ  
შახველმწიფო. სპუბლიკ.  
ბიბლიოთეკა

16822

მეფემ რომ გაიგო, რა ხერხი ეხმარათ გოგონებს მტრისაგან თავის დასაღწევად, იკითხა. ვინ გასწავლათო. ყველამ თინა წავკისელზე მიუთითა. მეფემ თინა თავისთან, სასახლეში დაიტოვა, სხვები კი შინ, სოფელში დააბრუნა. თინა ვაჟურად ჩაცმული დადიოდა. მეფემ იგი თავის ამაღლაში ჩარიცხა. სადაც უნდა გაელაშქრა, თინა წავკისელი თან ახლდა. თინას არაერთხელ მიუღია მონაწილეობა ბრძოლებში და ანცვიფრებდა მეფეს მოხერხებულობით. სიმტკიცით და გამბრუნებით.

ერთ-ერთ ბრძოლაში მეფეზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია თინასა და ერთი ახალგაზრდის გმირულ ბრძოლას და ომის დამთავრების შემდეგ უბრძანებია: თქვენ ორივენი ისეთი თავდადებული ადამიანები და გმირი მებრძოლები ხართ, რომ ურთიერთს უნდა მიენდოთ და დაქორწინდეთო. თინას, მართალია, ჭირ გათხოვება არ უნდოდა, მაგრამ მეფის ბრძანებას დამორჩილებია. საქმროს კი თინას ცოლობა თურმე გულში ჰქონდა ამოჭრილი და მეფის ბრძანებას მისი გულისწადილი აუსრულებია. მალე ჯვარი დაუწერიათ. თინას ორი ვაჟი გასჩენია. ერთ-ერთს გიორგი რქმევია. თინას ქმარი მალე დაიღუპა.

ერთხელ, როცა ერეკლემ ქუდაზე კაცი შეყარა და თითქმის ყველა წავკისელი მამაკაცი ბრძოლაში იყო ჩამბული, თინამ თურმე მსტოვართაგან შეიტყო, თათრები წავკისს უპირებენ დაცემასო. მაშინვე ქალები, ბავშვები და მოხუცელები კოშკში შეხიზნა, ფუტკრის სკები აატანინა და თან დაარიგა: სკები სათოფეებზე დააწყეთ, კოშკის კარები ჩაკეტეთ და თუ ვინცობაა დაღეწონ, მაშინვე პირველი სკის კარი გააღეთ და ფუტკარი გაუშვით. მე კი მეფესთან წავალ და ვეტყვი, ჯარი მოგვაშველოსო.

თინა წავკისელი თავისი ცხენით მოკლე გზით თბილისისაკენ გაფრინდა.

წავკისის კოშკს კი მტერი სწორედ ამ დროს მოადგა. ბნელოდა. კარები დაკეტილი დახვდათ. მტერმა კარები შეღწეა. ამ დროს პირველი სკა გახსნეს. ფუტკარი ბზუსალით დაერია მტერს და ვერც ერთმა დამპყრობელმა ვერ შეაღწია კოშკში. ამ დროს თინაც მოიჭრა ქართულებით და მტერი გაანადგურეს.

მართალია, თინას ქმარი გარდაეცვალა, მაგრამ სახლში ორი ბიჭუნა დარჩა.

თინა ერთ ბრძოლაში ტყვედ ჩავარდა. ქალი დადარდახნდა, ვაითუ შეიღებოდა ცოცხალი ველარ კისილოო. აღ-

გა და თავის მწყალობელ მეფე ერეკლეს შეუთვალა:

შენ გენაცვალე, მეფეო.  
შენი კირიმე, შენო!  
გიორგი არ მომიშოო,  
სულ შეაჩერე თემიო.  
მეც მალე დაგეზმარები.  
თუ რომ გამიხსნეს ხელიო,  
თუ არა და, მომაშველევით  
ნახშირგორელი ძღველიო.

მეფე ერეკლემ უპასუხა:

თინავ, რამ შეგაშინა,  
რამ შეგიცვალა ფერიო!  
შენ დაგვკარგე, მაგრამ  
არცინ არს შენი ფერიო.

მალე მეფემ თინა წავკისელი ტყვეობიდან გამოიხსნა.

1795 წლის სექტემბერში, ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს, თინამ უკანასკნელად მოიქნია ხმალი. იგი თავისი რაზმით პირველი შეიჭრა ბრძოლაში და მტერი გადაქელა. გაწყუნენ თინას რაზმელები, თვითონ თინა კი შეიპყრეს. მტერმა მასთან ერთად ბევრი წაიყვანა ტყვედ. სარკუნის ველზე მტერმა ტყვეები ორად გაყო: ნახევარი ერეკლე მეფის მოლა-

ტე განჩის მფლობელ გოგონებზე და გოგონებზე. თინა წავკისელიც მათგან ერთია.

როგორც ცნობილია, მეფე ერეკლემ აიძულა ჯავად-ხანი ქართველი ტყვეები უკან დაებრუნებინა. თინა წავკისელიც დაუბრუნდა თავის სამკვიდრებელს.

მალე, არავინ იცის, რა მიზეზით ახვიდა, თინა ბოლნისის მანახებში მოკლეს. უნდა ვიფიქროთ, რომ იგი შინაური მტრების მსხვერპლი გახდა. მისი გმირობა და მეფესთან სიახლოვე ბევრს აღუძრავდა შურსა და მტრობას.

მეფე ერეკლეს დიდად დაუძმინდა გმირი ქალის სიკვდილი და ბრძანა, თინა წავკისელი მისი ქმრის გვერდით დაეკრძალათ ბოლნისის სიონის ტაძრის ეზოში. მეფისავე ბრძანებით, საფლავის ქვებზე მათი სახელები ამოკრეს. თინას ორი ობოლი ბიჭი მეფემ თბილისში, თავის სასახლეში მიაყვანინა და იქ მიუჩინა ბინა.

ხატანა სიღამონია  
ზნატარი ზუბაბ ფორხინიძე



საკავშირო პიონერული მარშის სვლაგე-  
ზეზე თითოეული რაზმის გამარჯვება აქტი-  
ვის სიყოჩაღესთან ერთად იმათი ღვაწლიც  
არის, ვინც ყოველდღიურად თქვენს გვერ-  
დით დგას, რჩევას არ გაკლებთ, პრაქტიკულ  
დახმარებას გიწვეთ. ის თქვენი მასწავლებე-  
ლია! — კლასის ხელმძღვანელი, თქვენი აღმ-  
ზრდელი და მეგობარი.

ყოჩაღები არიან ცხაკაიას მე-2 საშუალო  
სკოლის პიონერული რაზმეულის აქტივის-  
ტები. მათ სკკ და საქართველოს კომპარტი-

ის XXVI ყრილობებისათვის მზადების დღე-  
ებში თავიანთ პატაკში ზევრი საინტერესო  
სტრიქონი ჩაწერეს.

რაზმეულში გამოარჩევენ პიონერული  
კლასის ხელმძღვანელის მდინარა გეგენავს  
რაზმს; მდინარა მასწავლებელი მია კუბაბრი-  
ას, ნატო ხუბუას, ელისო კიტას; დამო შარ-  
ტავას, ლალი კუპრეიშვილის, ვალერი წერეთ-  
ლის, ბადრი ჩაჩავას და მათი ამხანაგების  
კლასს მე-4 კლასიდან მოჰყვება. იმ დღიდან,  
როცა სკკ XXVI ყრილობის დღეებში ახალი

პიონერული რაზმი შეიქმნა. იმ დღიდანვე და-  
იწყეს პირველობისათვის ბრძოლა, იყოჩაღეს  
სწავლაში, გარჯა არ დაიზარეს და ოთხგზის  
გახდნენ მარჯვენაფლანგელები. ამჯერად ჩვე-  
ნი კლუბის სხდომაზეც რაზმის საბჭოს თავ-  
მჯდომარის მია კუბაბრიასა და მისი თანარაზ-  
მელების სურვილით თქვენთან სასაუბროდ  
მოვიწვიეთ მათი კლასის ხელმძღვანელი, „სა-  
ხალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერ-  
დე ნიშნის მფლობელი მდინარა გეგენავსა.  
აი, რას გვიამბობს იგი.

— ოთხი წლის მანძილზე მაიასა და  
მისი ამხანაგების მუშაობაზე დაკვირ-  
ვებამ დამარწმუნა, რომ როცა ყველა  
პიონერს კონკრეტული საქმე აქვს მი-  
ცემული, უფრო მეტ პასუხისმგებლო-  
ბასაც გრძნობს რაზმის კოლექტივის  
წინაშე. ამიტომ საჭიროა რაზმში შე-  
იქმნას პიონერული მუშაობის, პირ-  
ველ რიგში ურთიერთშეგობრობის  
აღმსრფერო. თითოეულმა კარგად  
უნდა გაიაზროს თავისი დავალება.  
პასუხისმგებლობა საკუთარი თავისა  
და კოლექტივის წინაშე.

ჩვენთან კლასის ცხოვრების ყველა  
საკითხს რაზმის საბჭო განაგებს.

რაზმის სიყოჩაღე, კოლექტივიზმა,  
კეთილმოსურნე ურთიერთობა საქმე-  
ებში ჩანს, იგი წარმოიჩინდა საყრი-  
ლობო პატაკის სტრიქონებშიც. იმას  
კი, რასაც ახლა ჩამოგათვლით, რაზ-  
მის საბჭოსა და რგოლის ხელმძღვა-  
ნელთა, რაზმის მთელი პიონერული  
აქტივის, რაზმეულის საბჭოს დახმა-  
რების გარეშე ვერაფერს ვერ შეძლებ-  
და.

რაზმი გამოჩენილი რევოლუციო-  
ნერისა და სახელმწიფო მოღვაწის  
სერგო ორჯონიკიძის სახელობისაა.  
სანამ მას ორჯონიკიძის სახელს მია-  
ნიჭებდნენ, პიონერებმა კარგად შე-  
ისწავლეს ქართველი რევოლუციონე-  
რის ცხოვრება და მოღვაწეობა. ერ-  
თად გავემგზავრეთ ლიტერატურა სერგო  
ორჯონიკიძის სახლ-მუზეუმის სახა-  
ხავად. შეკრება სწორედ მუზეუმის  
ეზოში, ცნობილი რევოლუციონერის  
ძეგლთან ჩავატარეთ.

დიდ პატივს ვცემ რაზმის საბჭოს.  
რომელსაც მასწავლებლები პიონე-  
რულ თვითმმართველობას ვეძახით.

არ დაგიმალავთ და, თავიდან მაია-  
სა და მის თანარაზმელებს უფრო დი-  
დი დახმარება სჭირდებოდათ, შემდეგ  
კი ისე გაიწაფნენ, პიონერული აქტი-  
ვის სიტყვა ყველასათვის კანონი გახ-  
და. მათი სიტყვა და საქმე კი ნაკლებ-  
ბად სცილდება ერთმანეთს.

რაზმის აქტივს ჩემთან ერთად ცხა-  
კაიას ხალიჩების კომბინატის მრთვე-  
ლი, სახელმწიფო პრემიის ლაურეა-



პიონერული აქტივის კლუბის მუშაობას  
ხელმძღვანელობს საქართველოს პიონერთა  
რესპუბლიკური საბჭოს წევრი  
ნათელა ფაილოძე

# ოთხი გამარჯვება

ტი, კომკავშირულ-პედაგოგიური რა-  
ზმის წევრი ლუიზა თურქია ეხმა-  
რება.

მართალია, ჩემი კლასის პიონერე-  
ბი ყოჩაღები არიან, მაგრამ შეკრებე-  
ბის მომზადებაში, საკითხის კონკრე-  
ტულად გადაწყვეტაში და ა. შ. დახ-  
მარება მაინც სჭირდებათ. მათ საქმის  
კოლექტიურად შესრულებას ვასწავ-  
ლი.

რაზმი მონაწილეობს ყველა რეს-  
პუბლიკურ თუ საკავშირო პიონერულ  
ოპერაციაში, გაზეთ „ნორჩი ლენინე-  
ლის“ მიერ წამოწყებულ ყველა თა-  
ოსნობაში; მან წარმატებას მიაღწია  
მოგზაურობაში — „დიდების გზით“,  
დაუსწრებელ ექსპედიციაში — „ლე-  
ნინის ოცნების გზით“ და კომკავში-  
რის ცხაკაიას რაიკომის, აგრეთვე რა-  
იონული გაზეთის რედაქციის ჯილდო-  
ები მიიღო.

ოთხი წელია რაზმს ოროსნები არა  
ჰყავს, რაზმის წევრები ოთხებზე და  
ხუთებზე სწავლობენ. ასე რომ, დამ-  
სახურებულად მოიპოვეს მარჯვენა-  
ფლანგელთა საპატიო საბეჭდი; ამი-  
ტომაც რაზმს რაზმეულის შეკრებაზე  
გადაეცა გარდამავალი დროსა წარ-  
წერით: „მოწინავე რაზმს“. მეორე წე-  
ლია, იგი ზედიზედ ჯილდოვდება გა-  
რდამავალი დროში: „სასკოლო სო-  
ციალისტურ შეჯიბრებაში საუკეთე-  
სო საერთო მაჩვენებლებისათვის“.  
ამასთან, რაზმეულის საქმიანობაში აქ-  
ტიური მონაწილეობისათვის პიონერ-  
თა რაიონულ შეკრებაზეც გამოარჩი-  
ეს და სამჯერ დააჯილდოვეს სიგი-  
ლით.

სკოლაში საინტერესოდ წარიმართა  
საქართველოს ახალგაზრდობის გა-  
დაძახილი „სწორება კომუნისტებ-  
ზე!“. სერგო ორჯონიკიძის სახელო-  
ბის რაზმი გადაძახილას ოთხივე  
ეტაპში ჩაერთო. ამ მიმართულებით  
დირექციამ 23 კლასის მუშაობა შეა-  
ჯამა და გამარჯვებულად ჩვენი რაზმი  
სცნო. მაია და მისი თანარაზმელები  
გამარჯვებამ ვაახარა, სისხრულს კი  
სწავლაში უკეთესი შედეგები მოჰყვა.

... დიდია რაზმის მეგობართა წრე.  
კარგა ხანია ჩვენი პიონერები მეგობ-  
რობენ როსტოვის ოლქის ქალაქ ვო-  
ლგადონსკის მეტალურგიული კომბი-  
ნატის ახალგაზრდა მშენებლებთან.  
ამ კომბინატის ერთ-ერთი მშენებე-  
ლი ავთანდილ ხუჯაძე ჩვენი რაზმის  
საპატიო წევრია. ავთანდილის მისა-  
მართით პიონერები ხშირად ავგზავნი-  
ან წერილებსა და ამანათებს.

რაზმის საბჭო დიდ ყურადღებას  
უთმობს ვლადიმერ ილიას ძე ლენი-  
ნის ცხოვრებისა და მოღვაწეობის  
შესწავლას, მიმოწერას ლენინის ქა-  
ლაქის პიონერებთან, მუდამ გულმო-  
დგინედ ემზადება რევოლუციური  
დღესასწაულების ჩასატარებლად.  
პიონერები ძალიან დაინტერესა ლე-  
ონიდი ილიას ძე ბრეჟნევის წიგნებმა:  
„მცირე მიწა“, „აღორძინება“ და  
„ყამირი“. ისინი დაუკავშირდნენ ამ  
წიგნების გმირებს, თოეწყო ვიქტო-



ი. ლავრამცაძე

ერნესტო ჩე გევარა

„ეს წიგნი ყველამ უნდა წაიკითხოს“ — წერს მწერალი გ. ფანჯიკიძე ნაწარმოებს დართულ ბოლო-სიტყვაობაში.


და ეს მართლაც პირველი აზრია, რომელიც წიგნის წაკითხვისთანავე ჩნდება.

ბევრს საინტერესოა იდეალისეულს შემოგთავაზებთ ი. ლავრამცაძის ბიოგრაფიული რომანი „ერნესტო ჩე გევარა“, რომლის ქართული თარგმანი მწერალ ე. კერძევაძეს ეკუთვნის.

ბავშვებო, სერიით „გამოჩენილ ადამიანთა ცხოვ-

ვრება“ გამოცემული მრავალი წიგნი გექნებათ უკვე წაკითხული. იქნებ რომელიმე გმირის, საზოგადო მოღვაწის, მეცნიერისა თუ ხელოვანის ცხოვრება და მოღვაწეობა მისაბაძადაც გექცათ, კარგა ხანია.

ეს ახალი წიგნი კი, რომელიც სულ ახლახანს დასტამბა გამოცემლობა „ნაკადულმა“, კუბის რე-



ვოლუციის ერთ-ერთი ლიდერის ერნესტო ჩე გევარას ცხოვრებისა და ბრძოლის, მისი მიზნებისა და იდეალების შესახებ მოგითხრობთ.

### ბანო ცერცვაძე

ფიქრის გორა

ამ წიგნის სათაური უთუოდ გეცნობათ. „ფიქრის გორა“ ხომ თქვენს საყვარელი გაზეთის „ნორჩი ლენინელის“ სადისკუსიო კლუბის სახელწოდებაცაა.

სწორედ ამ სადისკუსიო კლუბზე, მის მუშაობასა და სჯა-ბაასზე მოგვითხრობს ყურნალისტი ვანო ცერცვაძე წიგნში, რომელიც გამოსცა გამოცემლობა „ნაკადულმა“.

ბევრი ბავშვი, ბევრი მოზრდილი აუღელვებია, დაუფიქრებია ამ კითხვებს — რა არის ბედნიერება, სიხარული, რაინდობა, ერთგულება; რას ნიშნავს პროფესიის სწორად მიგრება, სიმართლის სიყვარული, საზოგადოებისათვის ერთხელ და სამუდამოდ ადგილმიჩენილი და დასამახსოვრებელი თითოეული ზნეობრივი პრინციპი...



ამ წერილების ავტორებმა, მისმა გამომცემმა იქნებ გაგოცონ კიდევ — თქვენეული ნააზრევ-ნაფიქრალი ისე უნებურად, ხმამაღლა ამოთქვან, იქნებ, გიპასუხონ კიდევ თქვენთვის მეტად მნიშვნელოვან, მტკივნეულ კითხვებზე.

გულწრფელობა, დიდი, ადამიანური სიკეთე — სხვისი ტკივილის გათავისებისა და გაზიარების დიდი სურვილი არის ამ პაწია წიგნის დასაფასებელი ღირსება.



მილნარა ბაგვანავა

ჩინაც ტრილოგიის ირგვლივ — „მოგზაურობა ცოდნის სამყაროში“.

რაზმის საინტერესო მუშაობაში დიდი ღვაწლი მიუძღვით ცხაკაიას რაიონის შრომისა და სამამულო ომის ვეტერანებს შ. ალანისას, ი. ტყეუჩავას, შ. ელიავას, გ. მალაზონიას; ისინი ხშირად მოდიან სკოლაში, ხვდებიან პიონერებს, უნერგავენ მათ შრომის სიყვარულს, სიმამაცეს...

პიონერული რაზმის ცხოვრება აქტიური შრომის გარეშე ხომ წარმოდგენილია. რაზმის საბჭო ხშირად აწყობს შაბათობებს. ჩვენმა რაზმელებმა მეცხოველეობის ცერმისთვის 2 ტონა თივა მოაგროვეს, სახელმწიფოს ჩააბარეს 2 ტონა ხილკენკროვანი მცენარის ნაყოფი, 2 ტონა ვაშლი, 4 ტონა მაკულატურა, 5 ტონა ჯართი.

რაზმში „სკოლისათვის ზრუნვის შტაბიც“ მოქმედებს. შტაბში „ნორჩი მღებავები“, „შემკეთებლები“, „ხელოსნები“ არიან გაერთიანებულნი. ისინი ძირითადად სკოლის ინვენტარის შეღებვა-შეკეთებაზე მუშაობენ. იმათ კი, ვინც საზოგადოებრივ დავალებში კეთილსინდისიერი შრომით გამოირჩევა, წიგნით ვაჯილდოებთ.

რაზმი თავიდანვე ჩაერთო ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბების საკავშირო დათვალიერებაში. ბევრი მეგობარი გვყავს იაკვერესა და რიგის პირველ სკოლებში, სადაც სტუმრადაც ვიყავით. წლებულს, მაისში კი მათ ჩვენ გავუწევთ მასპინძლობას. შარშან რაზმის 5 პიონერი რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ნორჩ ინტერნაციონალისტე-

ბთან ერთად ყაზახეთის ქალაქ პავლოდარში გამართულ მეგობრობის ფესტივალში მონაწილეობდა; ყაზახეთიდან ჩამოტანილი ჯილდოები, სამახსოვრო საჩუქრები და ფოტოსალები რაზმმა თავის საკლასო ოთახში, მეგობრობის კუთხეში გამოფინა. პიონერებმა მოგზაურობის შედეგები რაზმეულის საბჭოს მოახსენეს.

რაზმში გართობაც უყვართ. მღერიან და ცეკვავენ. ყველა პიონერია გაერთიანებული სკოლის სიმღერის, ცეკვის, მხატვრული კითხვის, სპორტულ წრეებში.

ჩემი კლასი სულ მალე კომკავშირული განდება და უკვე მოემზადა ამისათვის; რაზმში შეიქმნა კომკავშირის ისტორიის შემსწავლელი წრე — პიონერები გაეცნენ გმირი კომკავშირელების ცხოვრებას, ლენინური კომკავშირის ისტორიას, ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობის სახელოვან შრომით ტრადიციებს. მე მათი მჭერა: უსათუოდ გაამართლებენ კომკავშირელის სახელს. კომკავშირული კლასი ისევე ყოჩაღი იქნება. როგორც პიონერული იყო.

ის რასაც  
რწმენა  
აღმოაჩენებს

დასახარული.

მეტად ადამიანთა ცხოვრების, ცალკეულ პიროვნებათა ბედი აინტერესებთ. ვიყოთ უფრო კონკრეტულები. მაგალითად?

ამას წინათ ძალზე თბილი, ამალღვებელი ღონისძიება ჩატარეს პატარა „არგონავტებმა“: თავიანთი საყვარელი პედაგოგის კლავდია ბელოვას დახმარებით თავიანთ სალამოზე მიიწვიეს ქალაქის ერთ-ერთი ცენტრალური ქუჩის — ლენინის ქუჩის ყველა მცხოვრები და წინასწარი დიდი შრომით მოძიებული და შესწავლილი მათი ბიოგრაფიების, მათი ცხოვრებისეული სიძნელეებისა და წარმატებების, გადატანილი სიხარულ-სიმძიმის შესახებ საჯარო თხრობა დაიწყო...

ბევრ კეთილ ადამიანს მოადგა თვალზე უნებური სიხარულისა და მოულოდნელი მღელვარების ცრემლი იმ სალამოს...

ეს უჩვეულო ღონისძიება „არგონავტებმა“ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-60 წლისთავს მიუძღვნეს.

ამ ოთხიოდე თვის წინაც დიდი მზადება შეიქნა ცხინვალში. მთელმა ქალაქმა შეიტყო, კიდევ რაღაც უჩვეულო ღონისძიებას ამზადებენო მე-2, მე-4 და 1-ლ სკოლელი პიონერები.

მოლოდინმა არ უმტყუნათ.

მე-2 და მე-4 საშუალო სკოლების ბაზაზე, სწორედ იქ, სადაც სამამულო ომის დროს სამხედრო ჰოსპიტლები იყო, მის ყოფილ სამედიცინო პერსონალთან და დაკრძლებთან შეხვედრა გაიმართა. ამ სალამოს ლამაზი სახელწოდება ჰქონდა — „ლენინის ოცნების გზებით“. ვინ მოთვლის, სად არ ძებნეს ჰოსპიტლების ყოფილი დაკრძლები და ექიმები, საიდან აღარ ჩამოიყვანეს ისინი ამ მართლაც, „ლენინის ოცნების გზებით“ მავალმა პიონერებმა. და განა მართო ეს ორი სკოლა, ქალაქის თითქმის ყველა სკოლის პიონერული ორგანიზაცია ჩაება ღონისძიების მოსამზადებელ მუშაობაში.

განსაკუთრებით 1-ლი სკოლის მოსწავლეებმა გამოიღეს თავი. სკოლის „ნორჩ ფიზიკოსთა კლუბის“ ფორტმოყვარულებმა კინოფირზე აღბეჭდეს არა მარტო ღონისძიების საერთო მსვლელობა, არამედ სალამოზე მიწვეული თითოეული საპატიო სტუმრის სახეც.

ამ ღონისძიების ჩატარების დღიდან ჯერ მხოლოდ რამდენიმე თვე გაივლიდა. მაგრამ კინოჩანაწერმა უკვე

შეიძინა დასაფასებელი ძვირადღირებულიება. და ეს იმდენადვე სწრაფად და მოულოდნელად მოხდა, რამდენადაც სალამოს ერთი-ორი უხუცესი მონაწილე გამოაკლდა ცოცხალთა რიგებს.

დიდი, ათეული წლების ტრადიციები აქვს თემურელთა მოძრაობას სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში. დღეს ახლანდელ თემურელთა — პიონერთა ხელით შექმნილ ალბომებად არის ქცეული ეს ისტორია. მის ფურცლებად — ვეტერანი თემურელების ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მასალები.

წყალტუბოელი ექიმი ვალნის ცხოვრებაშვილი ერთ-ერთი იმათგანია, ვისთანაც ხანგრძლივი, ბედნიერი მეგობრობა აკავშირებთ ცხინვალელ თემურელებს. მია ვალნისი თავადაც ცხინვალის მკვიდრია, აქ დაბადებული, აქ გაზრდილი, აქაური პიონერული ორგანიზაციისა და თემურელთა იმდროინდელი თაობის ქურაში გამოწრთობილი.

კონტაქტები ძალზე ინტენსიურია: პიონერებიც აკითხავენ წყალტუბოში, მია ვალნისიც ჩამოდის ცხინვალში. სამახსოვრო საჩუქრებიც ხშირად ჩამოაქვს პატარა თემურელებისათვის. ცხინვალის მე-3 სკოლის შენობის ერთ-ერთ კედელს, კარგა ხანია, მისი ნაჩუქარი დიდი ფარდაგი ამშვენებს, რომელზეც ბელადის გაღმებულის სახეა ამოქარგული.

ამ პიონერებს სჯერათ: მთავარია, ყოველი დღე საინტერესო სიახლით დაიწყოს, მთავარია, ერთი დღე მეორეს არ ჰგავდეს, რაღაც თავისი მოიტანოს, საკუთარი თავის შეცნობა შეგაძლებინოს, რაღაც ახალი დაგანახოს და გასწავლოს...

კარგია, როცა ეს განწყობილება ცხოვრებისეულ რწმენად იქცევა ადამიანისათვის. მეტადრე მაშინ, როცა იგი მხოლოდ იწყებს პიროვნებად, მოახროვნე ადამიანად ჩამოყალიბებას.

ბევრი კარგი საქმე გააკეთეს ოსეთის ავტონომიური ოლქის პიონერებმა მეგობრობისა და ინტერნაციონალიზმის, სიყვარულისა და ძმობის, პარტიის საქმისადმი რწმენისა და, საერთოდ, მათი დედებისა და მამების, — უფროსი თაობისადმი რწმენის სახელით.

ეს რწმენა და მეგობრობა, ეს სიყვარული და ძმობა უთუოდ დაეხმარებათ მათ შემდეგშიც — ცხოვრების გზაზე დამოუკიდებელ, დაბრძენებულ ადამიანებად გასვლებს. დაეხმარებათ იმიტომ, რომ იმას, რასაც მათი ბავშვური რწმენა და ნდობა აღმოაცენებს, დაჰკნობა და დაბერება არ უწერია...

ქედი

შენი შუქი გზას მინათებს, ჩემო ტკბილო დედა. შენს ძვირფას და ლამაზ სახეს სიზმარშიაც ვხედავ.

შენ მიმღერდი ივნანას, მიყვებოდი ზღაპრებს, ამინთებდი ოცნებებში სამომავლო ლამპრებს.

სულ ყოველთვის მეხსომება შენი სიტყვა თბილი: „იყავ მუდამ წესიერი, გონიერი, ზრდილი;

სწავლაშიაც, შრომაშიაც ისახელე თავი, გაიზარდე სამშობლოსთვის სასახელო ქალი“.

ჩემო ტკბილო, ჩემო კარგო, საყვარელო დედა, შენს ძვირფას და ლამაზ სახეს სიზმარშიაც ვხედავ.

მარგალიტა ჩიბრაკაშვილი.  
მარტოვის საშუალო სკოლა.  
VI კლასი.





ვთ ერთგვარი ანგარიშით წარსდგნენ თანატოლების, პედაგოგ-აღმზრდელების წინაშე.

აღზრდის რთულსა და მრავალმხრივ საქმეში ძველთაგანვე გამოყოფდნენ დაგროვილი ცოდნის მარაგის გადაცემას, კლასიკურ მეცნიერებათა, ინდივიდუალურ შესაძლებლობათა გამოვლენის სურვილისა და უნარის გამომუშავებას, საკუთარი ნაწარმოების შექმნისაკენ მის წაქეზებას. ეს უკანასკნელი, რასაც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ცოდნის მარაგი, განათლება, ყოველთვის ითვლებოდა მოზარდის ნიჭიერების, მის ინდივიდუალურ ღირსებათა საზომად.

პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ხატვის კაბი-

ვე გამოსკვივის ის შინაგანი სურათითოღვა, საკუთარის, სწავლის გამყლავნების სურვილი, ხელოვნებაში საკუთარი გზის პოვნის იმედს რომ იძლევა, საკუთარი სიტყვის თქმას რომ გვპირდება.

იმედი... დაპირება... სხვა რა შეიძლება ჯერჯერობით ითქვას ნორჩი მხატვრის პირველ ნაბიჯებზე? მოვიშველიებთ კომპენტენტურ აზრს: შთაბეჭდილებათა წიგნში, მრავალი თბილი სურვილისა და ქათინაურის გვერდით, ძაკასთვის უდავოდ ყველაზე ძვირფასი და საყურადღებო ჩანაწერია: „...ჩემო მაკა, ვნახე შენი



ფარშავანგები

# «მზე აღსა ჩემი...»

თითქოს ასაფრენად გამზადებულ ციკქნა გოგონას ორივე ხელი წითლად დაფერილი ცისკაღურისკენ გაუშვებია.

მზე ამოდის...

„სიხარული“ დაარქვა მაკა გოციოჩემ ამ გობელენს.

გამოფენის გახსნის დღეს ერთი პაწია დამთვლიერებული დიდხანს შეყოვნდა ამ ექსპონატთან, მერე კი, ყოველგვარი პატივის ვარეშე, საკუთარი სურვილით ამღერდა:

„მზე დე-დაა ჩე-მი,  
მთვა-რე მა-მა-ჩე-მი...“

გაუხარდა მაკას.

ალიარებას ჰგავდა პაწიას სიმღერა. ჩანს, მიუხვდა ჩანაფიქრს, მხატვრის „სიხარული“ ვაითავისა და უბით შინ წაიღო შეუცნობი განძი — მხატვრის ჩანაფიქრთან თანაზიარობის სიხარული.

მაკა გოციოჩემ, თბილისის 24-ე საშუალო სკოლის მოსწავლე, რიგით მესამეა, ვისაც თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის თეთრი დარბაზი დაეთმო საკუთარ ნამუშევართა გამოსაფენად.

პირველად აჩიკო ვეფხვაძეს, თბილისის 53-ე საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლეს ხვდა წილად ამგვარი პატივი, შემდეგ ზურა გომელაურს, 1-ლი საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლეს. ასე რომ, უკვე შეიძლება ითქვას — სასახლეში კიდევ ერთ კარგსა და სასარგებლო ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი: ნორჩ მხატვრებს საშუალობა იძლე-

ნეტში ბევრი რამ კეთდება ხატვის სურვილით აქ მოსული პატარების აღზრდისათვის როგორც ერთი, ისე მეორე მიმართულებით.

მაკა გოციოჩემ ფიქრობს, რომ ძალიან გაუმართლა, ასეთ ენთუზიასტ, გულისხმიერ აღმზრდელებთან რომ მოხვდა, — ესენი არიან კაბინეტის გამგე ბონდო ბაკურაძე, გამოყენებითი ხელოვნების წრის ხელმძღვანელი მიხეილ ცალქალამანიძე, გობელენის მასწავლებელი ციალა ცალქალამანიძე...

და აი, დამთვლიერებელთა სამსჯავროზეა მაკა გოციოჩემის 70 ნამუშევარი: „დაისი შაორის ტბაზე“ და „გაგრა ლამით“, „ზამთარი“ და „გვირილები“, „ცივი ქარი“, „სიხარული“, „ზამთრის ტყე“, „ფარშავანგები“, „ფიქრი“, „ბუ“, „ორნამენტი“...

მოგზაურობ გოგონას ლამაზ სამყაროში და გახარებს რაღაც, ჯერ გაუცნობიერებელი. ცდილობ, სახელი დაარქვა. მიზეზი მოუძებნო ამ სიხარულს და უპირველესი, რაც ასე გხიბლავს, ეს, თუ შეიძლება ასე ითქვას — განცდის სინდლეა, პირველი სიყვარულით უბიწო სმენა და ხედვა, მაკას ასაკისთვის დამახასიათებელი განცდის სიმძაფრე და კეთილშობილება. მერე და მერე, უფრო რომ ჩაუღრმავდები ამ ნამუშევართა ქვეტექსტებს, პოეტურად შერჩეულ სახელწოდებებს თუ ფერთა გამას, მონასმის სიზუსტეს თუ ნახატის დინამიურობას, მიხვდები: ამ პატარა გოგონას ნამუშევარებში უკ-

გამოფენა და შენი სულიერი ზრდის მოწმე გავხდი. კარგია გამოფენა, კარგია მაცურებლისაგან წახალისება, მაგრამ მთავარი და გადამწყვეტი მაინც ის ფუტკრული შრომა და თავდადებაა, რის ვარეშეც ვერც ერთი ხელოვნება, ვერც ერთი შემოქმედება დიდ სიმაღლემდე ვერ მიადწევს.

ჩემი დიდი სურვილია, შენ და შენს ტოლებს, როცა დიდი შემოქმედების გზას შეუდგებით, მუდამ თან გახლდეთ — ასი წლისაც რომ



სიხარული

იყო. ის ბავშვური ვაკვირება და გაოცება სამყაროთი. რაც ახლად თვალ და ყურ ადგმულ ყრმას ახლავს თავის პირველ შეხედულებებში გარემოს მიმართ.

**კობა გურული“.**

არსებობს ერთი შესანიშნავი სიტყვა — „ცნობისწადილი“. როდენ ძვირფასი და ძნელად გასაღვივებელი თვისებაა იგი მოზარდის პიროვნებაში...

ფერწერა, გრაფიკა, ჰედურობა, გობელენი... თითქოს არ კმაროდა მაკასთვის სინამდვილის ასახვის საშუალებები: რიგასა და ვილინუსში ბავშვთა ნამუშევრების გამოფენებზე წარგზავნილი, იგი გატაცებით სწავლობს მაკრამეს — თოკებით ქსოვის ხელოვნებას, ცდილობს ქართული ორნამენტების გაცოცხლებას მაკრამეს „ენაზე“ („ძალიან მოუხდა, უფრო გვეხალისდი“ ... — გვითხრა მან); ნორჩ არქიტექტორთა მე-2 რესპუბლიკური კონკურსისი პრიზიორი გავრაში ზურაბ წერეთლის ნამუშევრებს ეცნობა, უზომოდ მოხიბლული, თბილისში დაბრუნებამდე ვეღარ ითმენს და დამოუკიდებლად ცდილობს მოსინჯოს პირველი ნაბიჯები მოზაიკაშიც („პირველი ორი ნამუშევარი გამიფუჭდა, მესამე — გამოვიდა: — „დაე, მუდამ იყოს მზე...“); შემდეგ არყის ხის ქერქებისა და ფიჭვის წიწვებისგან ქმნის „ზამთრის ტყის“ სურათს, შორიდან ფერწერული ტილო რომ გეგონებათ...

ისმენ ყოველივე ამას და შენს თვალწინ იკვეთება მაკას კიდევ ერთი თვისება — მისი საოცრად მაძაბებელი ბუნება, ცოდნის წადილი, შეცნობის დაუოკებელი სურვილი. ეს

შემოქმედებითი შრომის სიყვარულია, ეს არის მუდმივი სწრაფვა სრულყოფისაკენ, საკუთარი სულიერი ძალების, შინაგანი ბუნების სრულად გამოვლენისაკენ.

მაკას ახლობლებმა, იმათ, ვინც გოგონას წლების მანძილზე იცნობს, ისიც გვითხრეს, რომ მაკა წარჩინებული მოსწავლეა, რომ იგი საუცხოო მეგობარი და ამხანაგია, რომ შორეულ მოგზაურობაში საუკეთესო მეგზური და საინტერესო, გულთბილი მოსაუბრეა, გარეგნული სისადავითა და თავმდაბლობით შემეყული, შინაგანადაც რთული და საინტერესო პიროვნებაა, მეტად გონიერი და მგრძობიარე გოგონაა... ისიც, რომ მაკას ნამუშევრები გაგზავნილი იყო ლაიპციგისა და იზმირის საერთაშორისო გამოფენებზე, რიგასა და ვილინუსში კი თვითონ იყო წარგზავნილი და სიგელებითაც დაჯილდოვდა: ნორჩ არქიტექტორთა მე-2 რესპუბლიკურ კონკურსზე ! ხარისხის დიპლომიც მიიღო: გასულ ზაფხულს კი პიონერთა სასახლიდან „არტექ-



ხიობები, რეჟისორი...

— რას დახატავდი ყველაზე დიდ გატაცებით?


— ყველაფერს, რაც მიყვარს... თუ ობიექტის მიმართ გულგრილი ხარ, ნახატი არაფრით არ გამოგვივა.

და მაინც, მთავარი ალბათ მაინც ისაა, რაც უთქმელი დარჩა, ის, რასაც მაკა სამომავლოდ გეპირდება, რაც მის ბუნებაში ახლა მწიფდება, რაც მას ამზადებს დიდ ხელოვნებაში. და, რაც მთავარია, დიდ და საინტერესო ცხოვრების გზაზე გასასვლელად.

დღესდღეობით კი ნიჭიერი თბილისელი მოსწავლე, მის მიერ საოცარი პოეტურობით შექმნილ გობელენზე გამოსახულ გოგონას წააგავს




ნ ა ნ თ ა



პ ი ი ზ ა ჯ ი

ნ ა ტ შ რ მ ო რ ტ ი



ში“ გაგზავნეს და იქიდანაც დიპლომით ჩამობრუნდა. იქ მოწყობილ ბაზრობაზე გაყიდული ნამუშევრებით მოპოვებული თანხა კი მთლიანად მშვიდობის ფონდში გადარიცხა.

ეს, ალბათ, არცთუ ცოტაა მერვეკლასელი გოგონასათვის... ჩვენი შეხვედრა „თეატრალური კვირეულის“ დღეებში მოხდა და პირველი კითხვაც ასეთი იყო:


— თეატრის მხატვარი რომ იყო?... — ამაზე არ მიფიქრია, მაგრამ, ხლბათ, სცენას არ გადავტვირთავდი, მხოლოდ მივანიშნებდი ძირითადი შტრიხებით იმ მთავარზე, რის თქმასა და ჩვენებასაც აპირებენ მსა-

მცხუნვარე მზის ამოსვლას ხელებგაშლილი, ათასი ოცნებითა და იმედით, მიხნით და სწრაფვით აღსავსე ეგებება...

სახლში მოსულმა პატარა გოგონამ („სიხარულმა“ რომ აამდერა) სახატავი რვეულის ქათქათა ფურცელზე ოთხი მზე დახატა — წითელი, მწვანე, ლურჯი და ყვითელი. გაოცებულ დედას კი აღუხსნა: „ერთი ზაფხულის მზეა, ერთი — წვიმის, ერთი — ზამთრის და ერთიც — შემოდგომისო...“







— ჩვენი გლაშკაც და-ი-კარ-ვა! — აქვითინდა აგლაიას ბებია.

— როგორ თუ დაიკარგა? როდის? — იკითხა ზახარ ფილიპოვიჩმა ჩახრინწული ხმით.

უამბეს, როდის ვნახეთ ჩვენ უკანასკნელად ვასკა და აგლაია. ზახარ ფილიპოვიჩი აღელდა, უნდა ვიმოქმედოთ, მილიციასი უნდა დავრეკოთო. უკვე გაკეთებულია ყველაფერიო, უთხრეს. ზახარ ფილიპოვიჩი რატომღაც უკებ დაღუპდა, ხის ქვეშ მდგარი სკამისკენ გაემართა და ჩამოჯდა. ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო, სიგარეტი ამოაძვრინა, მაგრამ არ მოუუკიდებია, მხოლოდ დააშტერდა, თითქოს არ იცოდა, რა იყო.

მე დავიხურჩულე:  
— გაიგონეთ, რა თქვა, ას ათი კილომეტრი გაუჩერებლად!

— აჰა, — წყნარად მომიგო დუდკინმა. — მაშასადამე, ისინი სადღაც იქ...

— უნდა ვუთხრა მამიკოს, — ძლივს გასაგონად წაიბუტბუტა ზინაიამ. — მათ ხომ ერთი კაპიცი არა აქვთ... თანაც მშვირები იქნებიან.

მაგრამ ვერ მოასწრო მამისთვის რაიმეს თქმა, ეზოში მილიციის ლურჯ-ყვითელი მანქანა შემოვიდა, მანქანიდან მილიციის ფორმაში გამოწყობილი ახალგაზრდა ქალი გადმოვიდა. შემდეგ აგლაია და ვასკა გამოძვრნენ.

არ მახსოვს, როგორ მოხდა, რომ აქვითინებული ვასკა მამის ხელში აღმოჩნდა. მამა თავზე ხელს უსვამდა და იმეორებდა:

— ვასიუტკა!.. შვილო!.. რა ამბავია შენს თავს? ვინ გაგიმეტა ასე?

ვასკას დედაც ტიროდა და ლოყით შვილის ფეხს ეხუტებოდა.

აგლაიას დედამ ჯერ წაიტირა, შემდეგ უკებ სილა გაუშალა თავის ქალიშვილს და გაიცინა, მამა კი ჩაცუცქდა და გამოკითხვა დაუწყო, რა შეგემთხვაო, მაგრამ აგლაია მამას პირს არიდებდა და ძალზე უწადინოდ აძლევდა პასუხს:

— რა და... ისა... ჰო... ისა... ავერ ტატიანა ივანოვნას ჰკითხეთ.

ტატიანა ივანოვნა მილიციიდან მოსული ახალგაზრდა ქალი იყო. მისთვის რაიმეს კითხვა საჭირო არ შეიქნა, თვითონვე ალაპარაკდა ხმამალა:

— ამხანაგო მშობლებო, სამმართველოში მეჩქარება, სად შეიძლება დამშვიდებით ვისაუბროთ?

„ამხანაგმა მშობლებმა“ მილიციის ლეიტენანტი ბრიკინების ბინაში შეიყვანეს, ვასკა და აგლაია კი ეზოში მეზობლების ალყაში დარჩნენ.

აქ იყვნენ ჩემი მშობლები, დუდკინის მშობლები, ჩვენი სამივე მეეზოვე, პროფესორი გრაბოვი მეუღლითურთ, დამსახურებული არტისტი დვინსკაია. ერთი სიტყვით, ბლომად ხალხი იყო. იდგნენ და მღუმარედ ათვალეირებდნენ შინ დაბრუნებულ აპაჩებს. მათი ყურება კი მართლა ღირდა!

აგლაიას შავი ნაწნავებიდან წითელი ბაფთები გამქრალიყო, ნაწნავები დაშლოდა, თმა გაწეწოდა. მტრედისფერ სინთეტიკურ ქურთუკს არც ერთი ღილი აღარა ჰქონდა. ამ მტრედისფერ ღილებზე, რომლებითაც აგლაია ასე იწონებდა თავს, გამოსახული იყო მულტფილმების გმირები — მგელი, კურდღელი, ნიანგი გენა და ჩებურაშკა... ლოყებზე იოდწასმული სამი ნაკაწრი აჩნდა. ვასკას კოსტიუმი დასვრილი ჰქონდა, შუბლზე მსხვილი კოპი აჯდა, კოპზე იოდწაცხებული ნაკდევით ეტყობოდა.

— აბა, მოყევით, რა ამბავი იყო თქვენს თავს! — დაარღვია სიჩუმე დუდკინის მამამ, მიხაილ ივანოვიჩმა.

ვასკა ისევ ატირდა. აგლაიამ ფეხები გაჩაჩხა, მოიჭ-

მუხნა, თვალები დახარა.

— მოგვიტაცეს, — თქვა ხმადაბლა.

ხალხს ჩურჩულმა გადაუარა, მაგრამ მყისვე დუდკინი ჩამოვარდა.

— როგორ თუ მოგვიტაცეს? — იკითხა ვილაცამ.

— გამოსასყიდლის გულისთვის, — მიუგო აგლაიამ ხმამალა, ვასკამ კი ზუზუნს უმატა.

— შენ, ჩემო კარგო, მგონი ააფრინე! — წაიღუდუნა დვინსკაიამ, ბრიკინების მეზობელმა, პროფესორმა გრაბოვმა კი თქვა:

— აბა, ვასკა, სიმართლე თქვი!

თითქოს უნდა ატირდესო, აგლაია თვალების სრესას მოყვა.

— „სიმართლე, სიმართლე!“ — გამოაჯავრა მან პროფესორს. — აბა, რა უნდა გითხრათ ამან? ვერა ხედავთ, რა უყვეს! გონი დაკარგა და არაფერი აღარ ახსოვს. ესენი კი— „სიმართლე, სიმართლე!“ — ჩასციებიან. — აგლაიამ ვასკას მხარზე ხელი მოხვია და ჩვენი საყვარელი ადგილისაკენ — შენობის კედელსა და ტრანსფორმატორის ჯიხურს შორის გასასვლელისაკენ წაიყოლა.

ვილაცამ დაუძახა, არ წახვიდეთო, მაგრამ დვინსკაიამ განაცხადა:

— მოეშვით, ამხანაგებო! ბავშვებს რალაცა ცუდი გადახდენით თავს, ჯერ კიდევ ვერ მოსულან სრულ ჭკუაზე. დუდკინმა თვალი ჩაგვიკრა და უფროსების დასახანავად სამივენი საწინააღმდეგო მხარეს გავემართეთ, შემდეგ სახლს შემოუარეთ და იმ ვიწრო შესახვევში გავედით, სადაც „მოტაცებულები“ იდგნენ.

— გლაშკა! — უთხრა დუდკინმა, — მოტაცების ამბავი მოიგონე, არა?

— მაშ არა და! — უპასუხა აგლაიამ. — აბა რა უნდა მექნა, როცა...

ზინამ გააწყვეტინა:

— ჰო, კარგი. დალაგებით მოგვიყევი თავიდან ბოლომდე!

აგლაიამ სხაპასხუპით დაიწყო მოყოლა...

თურმე, როგორც ზინა შიშობდა, ზახარ ფილიპოვიჩმა მოსკოვის პროსპექტით წაიყვანა მანქანა. სიჩქარე არც მოუმატებია, არც შეუნელებია. ქალაქის ბოლოს მოსკოვის გზატკეცილი დაიწყო. აპაჩები ძარის წინა კუთხეში დაგდებულ ბრეზენტზე იწვნენ. ვასკა ხან ტიროდა, ხან აგლაიას ყურში ეუბნებოდა, რომ ავტონისპექტორები ხშირად აჩერებენ ხოლმე მანქანებს შესამოწმებლად, ძარაშიც ჩამოიხედავენ და მამას დაჯარიმებენ მგზავრების წაყვანისათვის. მამა, ცხადია, კიდევ უფრო გაწყურებო. ერთი სიტყვით, რაც უფრო შორს მიდიოდნენ, მით უფრო მეტი შიში იპყრობდათ.

— ალბათ ორი საათი ვიარეთ, — სხაპა-სხუპით ყვებოდა აგლაია. — და აი, დასახლებაში მივედით... უზარმაზარი დასახლებაა. მე თავდაყირა გადავეშვი პირდაპირ ძარიდან... ვასკაც ასევე... იქვე ფარდული იყო, — „ხილბოსტენული“, და იმას მივეფარეთ. მანქანამ კი მოუხვია და ჭიშკარში შევიდა... იქ რალაცის საწყობი იყო.

ფარდულსუკან აპაჩებმა კარგა ხანს იყურყუტეს იმის იმადით, მანქანა რომ გამობრუნდება და მოხვევას დაიწყებს, უკანიდან ავაფოფხდებითო. მაგრამ მანქანა პირთამდე გავსებული გამოვიდა და აპაჩები მიხვდნენ, რომ ისინი მანქანაზე ვერ დასხდებოდნენ. ვერც ის გაბედეს, ზახარ ფილიპოვიჩისათვის დაეძახათ. მანქანამ მოუხვია და მალე თვალს მიეფარა.

— ჰოდა, — განავრძობდა აგლაია, — მივედით ერთ მოხუცთან, შევეკითხეთ: „გვითხარით, ბატონო, რა ჰქვია ამ... ასე ვთქვათ, დასახლებულ პუნქტს?“ იმან კი: „ეს



„მიზეზები მცირეა, შედეგები კი ძალიან დიდი. საკმარისია ერთი ბიძგი, რომ ბუნებაში წონასწორობა დაირღვეს“. წერს ფრანგი მეცნიერი რ. გეისი წიგნში „ნატურალისტის მოგზაურობა დედამიწის გარშემო“.

წონასწორობა ბუნებაში... იგი შეიძლება იყოს მარტივი, რთული და ძალიან რთული. მრავალგვარია მისი ფორმები, მრავალმხრივია მისი მექანიზმიც. ამასთანავე, იგი ყოველთვის მობილური და ცვალებადი მოვლენებითა და პროცესებით აღსავსეა.

ინგლისელმა ეკოლოგმა ჩარლზ ელტონმა გადაწყვიტა, შეესწავლა მშობლიური ქვეყნის მწვანე მდელო აქ მცხოვრები ორგანიზმებით და მათ შორის არსებული სასიცოცხლო კანონზომიერებებით; ამ კანონზომიერებებში კი, რა თქმა უნდა, იგი გულისხმობდა მდელოს ცოცხალ და არაცოცხალ კომპონენტებს შორის არსებულ წონასწორობას, კვებით კავშირებსა და სხვ. საყურადღებოა, რომ ამ ჩანაფიქრის განსახორციელებლად და ერთი კვადრატული მილი ფართობი მდელოს შესასწავლად მეცნიერს და მის მრავალრიცხოვან დამხმარე პერსონალს დასჭირდათ... 25 წელი. სამაგიეროდ, ელტონის მიერ შექმნილი სამეცნიერო შრომა კლასიკურ ნაშრომად ითვლება ორგანიზმთა და გარემოს ურთიერთდამოკიდებულების შემსწავლელ მეცნიერებაში ანუ ეკოლოგიაში.

მაგრამ მდელო ხომ არცთუ ისე რთული ბუნებრივი გარემო, იგივე ბიოგენოცენოზია. მეცნიერებისათვის კი ცნობილია შემადგენელი კომპონენტების კოლოსალური რაოდენობისა და დიდძალი შინაგანი ურთი-



ერთკავშირების მქონე ბუნებრივი გარემო. ასეთია, მაგალითად, ტროპიკული ტყე თავისი მრავალსართულიანი მცენარეულობით, ცხოველებითა და მიკროორგანიზმებით.

ნებისმიერი ბუნებრივი გარემოს

# რას ხომავს კოლონიური მონაწილეობა?

მდელოს, ტყის, ჭაობის, უდაბნოს, თუ სხვათა არსებობის, ყოფნა-არყოფნის მთავარი არსია მათ ცალკეულ კომპონენტებს შორის — ნიადაგი იქნება ეს, მცენარეები, ცხოველები თუ მიკროორგანიზმები — არსებული მეტ-ნაკლებად გაწონასწორებული ურთიერთკავშირი. ბუნებაში მიმდინარე ბიოლოგიურ და ქიმიურ პროცესთა ამგვარი წონასწორობა განაპირობებს ჩვენი პლანეტის საცხოვრებელი გარემოს შედარებით სტაბილურ, მდგრად ხასიათს.

წონასწორობა ბუნების ობიექტური კანონებიდან გამომდინარეობს, უმისოდ წარმოუდგენელია გარემოს სიმყარე, ისევე, როგორც ამ უკანასკნელის გარეშე შეუქმლებელი იქნებოდა თვით სიცოცხლე ჩვენს პლანეტაზე.

მოვიყვანოთ მაგალითი: საყოველთაოდ ცნობილია, რომ გარემო ბუნება შედგება სამი მთავარი კომპონენტის ანუ ტრიადისაგან — ტყის, გარეული ჩლიქოსანი ცხოველებისა და მსხვილი მტაცებლებისაგან. ირმები და ცხენ-ირმები იკვებებიან ხეთა ტოტებრით, ფოთლებითა და ყლორტებით, აგრეთვე ბუჩქებითა და ბალახებით. მგელი, ვეფხვი, ფოცხვერი კი, თავის მხრივ, ჩლიქოსნებზე ნადირობენ. როდესაც ირმები და ცხენ-ირმები ძალიან მომრავლდებიან, ბუნებრივია, დიდ ზიანს აყენებენ ტყის მცენარეულ საფარს. მაგრამ იმის დავიწყებაც არ შეიძლება, რომ ისინი თავადაც შეადგენენ მტაცებლების საკვებს. მომრავლებული მტაცებლები თანდათან ამუხრუჭებენ ჩლიქოსანთა რიცხოვრივ ზრდას. ტყე დროის გარკვეულ მომენტებში „თავისუფლად ამოისუნთქავს“ და ქრილობებს იშუშებს, მაგრამ ჩლიქოსანთა რაოდენობის შემცირება საკვები ბაზის შეზღუდვაც არის. ამის შედეგად ახლა მტაცებლები იკლებენ რიცხოვრივად: მათ ხომ თვითონვე „შეარყიეს თავიანთი საკვები „ბაზა“ და ახლა საზღაურს იღებენ თავიანთი „შეცდომის“ ვაშლად. ამასობაში კი, როგორც ეკოლოგები ამბობენ, მტაცებელთა კლანჭებს გადარჩენილი ჩლიქოსნები თანდათანობით აღიდგენენ თავიანთ პირვანდელ რიცხოვრიობას და ყველა-

როგორ არ იცით? საიდან ხართ? სადა გყავთ მშობლები?“ ვტაცე ვასკას ხელი და, ჰაიდა...

დიდებისათვის უკვე აღარაფერი უკითხავთ აბაჩებს. ერთი გოგონასაგან გაიგეს, რომ ისინი რაიონულ ცენტრ ორლოვსკში იმყოფებოდნენ, და რომ ქალაქისაკენ ავტობუსი სამ საათზე გადიოდა.

— ჰოდა, ავედით ავტობუსში. ის იყო ერთი გაჩერება გავიარეთ, რომ კონდუქტორი ქალი აგვიხიბდა: რატომ ბილეთებს არ იღებთ, სად მიდინხართ, ვინა ხართო. ჩამოვხტით. დაახლოებით ერთი საათი ვიარეთ. აი მაშინ გამახსენდა ბეტსი გრეი.

ვინ ბეტსი გრეი? — ვერ გაიგო დუდკინმა.

— შენ თვითონ არ მოგვიყევი ამ კინოსურათის შესახებ? — როგორ შეეშალათ განგსტერებს — მილიონერის ქალიშვილის ნაცვლად უბრალო მეთევზის ქალიშვილი რომ გაიტაცეს.

— ნამდვილი ჭკუის კოლოფი ხარ! — გაელიმა დუდკინს. — ასეთი რამ მხოლოდ კაპიტალისტურ ქვეყნებში ხდება.

— აგლაიას უნდოდა შეპასუხებოდა, მაგრამ ვთხოვეთ ამბის მოყოლა გაეგრძელებინა და მანაც განაგრძო:

— ვეუბნები ვასკას: თუ კიდევ ავალთ ავტობუსში, ისევ გადაგვეკიდებიან, იფიქრებენ, შინიდან გამოქცეულები არიანო, და მილიციამი გვიკრავენ თავს... ამიტომ სჯობს, ჩვენი ფეხით მივიდეთ იქ, ვუთხრათ, რომ მე და შენ ვსეირნობდით. უცებ ვილაცები მოგვგარდნენ, მანქანაში, პიკაპში შეგვაგდეს და წაგვიყვანეს. მერე მანქანა გაუფუჭდათ, ისინი გადმოვიდნენ, კარის მოხურვა დაავიწყდათ და ჩვენ გავიქეციით-თქო. ვასკამ ხელი ამიქნია, მაგრამ მე ავეუსხენი: გაგონე, ჩვენ ამით ორმაგ სარგებლობას მივიღებთ — შინაც მიგვიყვანენ და მამაც ხელს არ გვახლებს-მეთქი. დამთანხმდა. ქურთუქს ღილები ავაგლიჯე, თმა გავიწეწე, სახე გავიკაწრე, თითქოს ვილაცისათვის წინააღმდეგობა მქონდა გაწეული...

— ვასკას რატომ აზის ამოდენა კობი? — ჰკითხა ზინაიდამ.

— ეს ასე მოხდა. ვეუბნები ვასკას: „ხომ იცი, თვითონ რა უგერგილო ხარ, დაგავიწყდება, რაც უნდა თქვა. ამიტომ მე ვიტყვი, რომ შენ რალაც ჩაგარტყეს თავში, გული შეგიწუნდა, მეხსიერება დაკარგე და არაფერი აღარ გახსოვს“. კარგო, — მითხრა ვასკამ.

ფერი ისევ თავიდან იწყება. შედეგი კი თვალსაჩინოა: წრე შეიკრა, წონასწორობა აღდგა.


ზემოთ დახასიათებული წონასწორობა პირობითად შეგვიძლია საათის ქანქარას შევადაროთ. მხოლოდ თვალის დახამხამების განმავლობაში იმყოფება იგი „ნორმალურ“ მდგომარეობაში — ორი უკიდურესი წერტილის შუაში. ასევე ბუნებაშიც: ბუნების ცალკეული კომპონენტები წონასწორობის იდეალურ მდგომარეობაში მხოლოდ დროის უმცირეს მონაკვეთში იმყოფებიან.

დავუბრუნდეთ ისევ საათის ქანქარას. გარდა დროის სულ მცირე მონაკვეთისა, ქანქარა ცენტრიდან გადახრილია მარჯვნივ ან მარცხნივ. ქანქარის რხევის ამპლიტუდა ყოველთვის განსაზღვრულია, მისი რხევა — ერთნაირი, ანუ სინქრონული. ანალოგიური სურათს ვხედავთ ბუნებაშიც. მასსადამე, იდეალურ წონასწორობას ადგილს აქვს მხოლოდ დროის მცირე მონაკვეთში. უმრავლეს შემთხვევაში წონასწორობა იხრება ერთ ან მის საწინააღმდეგო მხარეს. მაგრამ, საათის ქანქარისა არ იყოს, სხვადასხვა მიმართულებით ამგვარი გადახრა მკაცრად არის განსაზღვრული, ეს კი იმას ნიშნავს, რომ გადახრის ამპლიტუდა აუცილებლად მერყეობს მხოლოდ განსაზღვრულ მასშტაბებში, ანუ გარკვეულ ფარგლებში.

ახლა განვიხილოთ მაგალითი, როდესაც გარეშე ძალების უხეში ჩარევით ეს შეფარდებითი წონასწორობა ირღვევა, სხვანაირად, როდესაც ბუნების ქანქარა ზედმეტად გადაიხრება ერთ რომელიმე მხარეს. კარგი იქნებოდა, დაგვესურათებინა,

თუ რა მდგომარეობა იქმნება. როდესაც ზემოთ დასახელებული ტრაის — ტყის. ჩლიქოსნებისა და მტაცებლების — ცხოვეტებაში ხელოვნურად ერევა ადამიანი.

ჩვენს ქვეყანაში, ბევრ ადგილას, განსაკუთრებით ხაკრძალებში, მთლიანად მოისპო მგელი — ჩლიქოსანთა ეს ბუნებითი მტერი. ეკოლოგიური მეცნიერებისათვის კარგად ცნობილი ასეთი მდგომარეობა 50-60-იან წლებში შეიქმნა. გაანადგურა რა მგლები, ადამიანმა მაინც ვერ შეძლო მათი მთლიანად „შეცვლა“ და ჩლიქოსნებზე კონტროლის ხელში აღება. ისინი ზეჰარბად მომრავლდნენ. რუსეთის პირობებში ზეჰარბ მომრავლებად ეკოლოგები იმგვარ მდგომარეობას თვლიან, როდესაც ათას ჰექტარ ფართობზე საშუალოდ 25-ზე მეტი ირემი ცხოვრობს. ირემბმა ბოლომდე ამოწურეს მათთვის ხელმისაწვდომი საკვები და შიმშილობა დაიწყეს. ადამიანებმა კარგახანს ვერ შეამჩნიეს ეს, ისინი ჯერ კიდევ ამაყობდნენ ჩლიქოსანთა სულადობის სწრაფი ზრდით. მაგრამ შედეგმა დიდხანს არ დააყოვნა: პირველივე მკაცრ ზამთარს ირემები დამკვლევებლები შეხვდნენ. დაუძლეურებულად დიდ თოვლში მოძრაობის თავიცი აღარ ჰქონდათ. ადამიანები დიდ დახმარებას უწევდნენ განსაცდელში ჩავარდნილ ოთხფეხებს, ბევრიც გადაარჩინეს, მაგრამ ზარალი მაინც აუნაზღაურებელი აღმოჩინდა. ბუნების ქანქარა მკვეთრად გადაიხარა ერთ მხარეს. დიდი ბუნებრივი ტრიადის ელმენტთა შორის არსებული წონასწორობა, ადამიანებმა კი ვეღარ შეძლეს მისი ხელოვნურად აღდგენა.



თანამედროვე მეცნიერების, განსაკუთრებით, ეკოლოგიის ფრიად მნიშვნელოვანი და საპატიო ამოცანაა ბუნების ცალკეულ კომპონენტებს შორის არსებულ ურთიერთობათა წონასწორობის კანონის ყოველმხრივი და ღრმა შესწავლა და ამის საფუძველზე ბუნების, სახალხო მეურნეობის უნარიანი, ყაირათიანი გაძლოა. ეს დიდი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური მნიშვნელობის საქმეა.

არნ. გეგეჰკორი,  
ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

— კი მაგრამ, კობი რატომ აზის? — დაიყინა ზინაიდა.

— ჰო, კობი... ვიფიქრე მაშინ და ვუთხარი, საეჭვოდ მოეჩვენებოდა, რომ დარტყმისაგან გული შეგიწუნდა და კვალი კი არაფერი აჩნია-მეთქი. ვასკა ისევ გაჩქადა.

„როგორც ვენებოს, — ვუთხარი. — მე მხოლოდ ერთხელ ჩაგარტყამ, მამაშენი კი ისე გაგროზგავს, მთელი კვირა დაჯდომას ვერ შეძლებ“. ჰოდა, დამყაბულდა.

ვასკა კვლავ ასლუკუნდა.

— ჰო, დაგყაბულდი! მეო, მითხრა, მსუბუქად ჩაგარტყამო, რომ მხოლოდ ოდნავ დაგაჩნდესო. სინამდვილეში კი, აი, ამოდენა ჯიბი მოქებნა, მოფარებულში გამიყვანა და ისეთი ჩამცხო!..

— მართალია, ვერ მოვზომე, ცოტა მეტი მომივიდა. მეც ხომ მაქვს ნერვები, — თქვა აგლაიამ. ამ დროს ეზოდან ძახილი მოისმა:

— აგლაია! ვასილი! სადა ხარო?

შესახვევიდან გამოვედით. ეზოში მეზობლებს შორის იდგნენ ტატიანა ივანოვნა და „მოტაცებულთა“ მშობლები.

— ბავშვებო, ჩვენ ყველაფერი გამოვარკვიეთ, —

თქვა ლეიტენანტმა ქალმა. — თქვენ ვასიას მამის მანქანაში ამგვრით და მასთან ერთად ორლოვსკში ჩახვედით. ხომ ასე იყო?

გაოგნებულ აპაჩებს ენა მუცელში ჩაუვარდათ. ვასკა ნამდვილი ცრემლებით ატირდა, აგლაია კი საკმაოდ ყალბად აზუზუნდა:

— ო-ო-ი-ი-ი! ჩვენ ისეთი რამ გადაგვხდა თავს, ისეთი რამ!... და, აჰა... ო-ი-ი-ი-ი!...

ქურთუკის ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, თითქოს ცრემლები უნდა მოეწმინდა, და უცებ... ოთხივე დიდებული ლილი, რომელსაც ვერ შელეოდა, მიწაზე მიმოიფანტა. დიდებს გაეცინათ, „მოტაცებულმა“ გოგონამ კი დედის მკერდში ჩარგო თავი და ბოლოსდაბოლოს სერიოზულად აღრიალდა.

ეზოში ერთი ხარხარი იდგა, როცა აპაჩები წვლან ჩვენთან ნაამბობს იმეორებდნენ. ყველაზე უფრო ზახარ ფილიპოვიჩი იცინოდა.

ის იყო და ის, მას შემდეგ ბრიკინების მამას ქამარი არ აუშუშავებია...

# მამულ

რა მასაზრდოებს?  
 — სიყვარული მშობელი მინის!  
 რა მიხარია?  
 — სიკრიალე მშობლიური ცის!  
 ძარღვებში მიდგას  
 სიმხურვალე უნაპირო მზის,  
 ვარ მომღერალი  
 საქართველოს ბედნიერი დღის!  
 მსურს, შემოქმედმა  
 გამიგრძელოს სიცოცხლის დღენი,  
 რომ ვუდღეგრძელო  
 ჩემს ერს მარად კაცი მშრომელი.  
 მამულო ჩემო,  
 მავსებს რწმენით სიმაღლე შენი,  
 იყოს ეს ლექსიც  
 შენი წინსვლის საგალობელი!

## გიორგი მეგრეელი

# საქაში შოში

მზემ აიკრიფა სხივები და  
 ცას მოეფერა,  
 მთამ ღამის ჩრდილი ნაბადივით  
 მინდორს დაჰფინა,  
 მე ბადაგივით მატკობს ახლა  
 ქარის სიმღერა  
 და დედამინა გადაღლილი  
 დევივით ხვრინავს.

საგულდაგულოდ დავიბერტყე  
 შარვლის ტოტები  
 და როგორც შუბი, ზე ავნიე  
 ტარი ცელისა;  
 გამარჯვებული მეგრძოლივით  
 ბილიკს მოვყვები,  
 ერთგულ ძალივით უკან მომდევს  
 სიო ველისა.

# სკოლაში

დამსხდარან  
 დიდოსტატები აღზრდის,  
 და ბჭობენ  
 მომავალ საქართველოზე,  
 გარეთ კი ლომის ბოკვრებივით  
 ბუსკნაობენ  
 პატრონნი  
 მომავალი საქართველოსი!




ქალაქი შავანთა

ამ რამდენიმე ხნის წინათ აფრიკაში გათხრების დროს პალეონტოლოგებმა აღმოაჩინეს ტერმიტის გაქვავებული ფრთა. იგი 200 მილიონი წლისა აღმოჩნდა! მაგრამ ამ ციფრს მეცნიერები არ გაუოცებია, თუმცა ადრე ნახულობდნენ მხოლოდ მეზოზოური ერის, და არახოდეს მისი შემდეგობი — პალეოზოური ერის ტერმიტთა ნაშთებს. მწერებიდან ტერმითი ერთ-ერთი უძველესთაგანია. იგი უველაფერს ჭამს, აქვს მძლავრი ყბები. აინუნშიაც არ აგდებს შიმშილს, გვაღვას, ჭირს. იმ ამბავს, რომ ამ მწერისთვის სულ ერთია, რას შეჭამს, და არავითარ წინააღმდეგობას არ ებუება, მოწმობს ბოლო წლებში შეკრებილი შემდეგი ფაქტები.

შირი ღანკის ერთ-ერთი საპატიმროს ხაზი აგურის კედელი ისე გამოქაშეს ტერმიტებმა, რომ ხაზი პატიმარი არხეინად გამოვიდა საპრობილის გარეთ და მიიშალა.

ავსტრალიაში ტერმიტებმა დაღრღნეს იმ ხარდაფის ტყვიის კედელი, სადაც 7 ათასი



ლიტრი ლუდი ინახებოდა. ლუდის დიდი ნაწილი შესვეს, მეზობელი სასტუმროს საბილიარდომდე გაიკაფეს გზა, იქ ხის ყველა ნაკეთობა შთანთქმეს და დესერტად ბილიარდის ბურთულეები დააყოლეს.

მეტად დრამატული ამბავი მოხდა ეგვიპტეში. პატარა ქალაქ ბენერის ერთმა მკვიდრმა ძველი სასაფლაოს ნაწილი გათხარა და ამით იქ დაბუდებულ ტერმიტები ააფორიქა. მილიონობით ტერმითი გაემართა ქალაქის დასალაშქრავად. მცხოვრებლები დაფეთებული გარბოდნენ და დროზე უშველეს თავს. მაგრამ ქალაქის ნაგებობები კი ტერმიტებმა სულ ცოტა ხანში ერთიანად გადაჭამეს.

თანამედროვე მედიცინამ ბევრი ისეთი სნეულება დაამარცხა, ჯერ კიდევ XIX საუკუნეში უკურნებლად რომ ითვლებოდა, მაგრამ ჩვენმა საუკუნემ ისეთი დაავადებებიც წარმოშვა, მარტო მათი სახელწოდებაც კი შეაძრწუნებდა ძველი დროის ექიმებს. მათ შორის ზოგიერთი სრულიად უჩვეულო ავადმყოფობაც გვხვდება.

ასეთია, მაგალითად, ყურის კანის დაავადება, რომელსაც ტელეფონით დიდხანს ლაპარაკი იწვევს. ტელეფონთან არის დაკავშირებული სხვა ავადმყოფობაც — „ყურებში ტელეფონის წყარუნი“. იგი ეწარება იმათ, ვისაც სამსახურებრივი მოვალეობის გამო საათობით უხდება ტელეფონით ლაპარაკი აბონენტებთან.



შორ მანძილზე საპაერო ლაინერებით ხშირ ფრენას შეუძლია გამოიწვიოს ქვედა კიდურების მრავალგვარი სახის დაავადება, ხოლო სტიუარდესებს ზოგჯერ აწუხებთ მუცლის შეშუპება დიდ სიმაღლეზე გამუდმებით ყოფნის გამო.

ტელევიზორის თვალმოუშორებელი მყურებლები თვადების, ფეხებისა და კისრის დაავადებებს „იძენენ“.

და ბოლოს, ავტომობილით გამოწვეული დაავადებანი. მძღოლები უჩივიან ხოლმე ქუსლების, მუხლების, ზურგის ტკივილებს. ჩამოთვლილ დაავადებათა განმკურნებელი წამლები ჯერ არ გამოუგონებიათ, მაგრამ ამ სნეულებათა ასაცილებლად არსებობს მარტივი საშუალებები: ნაკლები უნდა ილაპარაკოთ ტელეფონით, ნაკლებს უნდა იჭედოთ ტელევიზორთან, მეტი ხანი უნდა იქნეთ სუფთა ჰაერზე და მეტი იაროთ ფეხით.

## ქლორის ნაცვლად ოზონი

ჰელსინკის წყალმომარაგების სისტემაში სასმელი წყლის დამუშავება ქლორის ნაცვლად ოზონით დაიწვეს, ოზონს წყლის გასაწმენდად იყენებენ და დეზინფექციისათვისაც. იგი არც გემოს უცვლის წყალს. მხოლოდ ძალიან გაბინძურებული წყლის დამუშავებისას ხდება საჭირო დამატებით ქლორის გამოყენება.

ხელთათმანი



ხელთათმანი შეიძლება მოიქსოვოს ან ერ...

I ვარიანტი

ქსოვას ვიწყებთ თითებიდან. ვქსოვთ ზე...

1-ლი რიგი: მოვქსოვოთ 12 თვალი, მერე...

მე-2 რიგი: ყველა თვალს უკულმა ვქსოვთ...

ცერის მოსაქსოვად სარქიდან ჩხირზე გა...

ხელთათმანის ზედა ნაწილიც ანალოგიუ...

II ვარიანტი

ხელთათმანი იქსოვება ხუთ ჩხირზე. ავი...

ხელთათმანი შეიძლება მოიქსოვოს სხვა...

ბუკლე ა)

ავკრიფოთ 20 თვალი. 1-ლი რიგი: 1 თვალი წალმა, მერე უკუ...

მე-2 რიგი: წალმა თვალი მოვქსოვოთ უკუ...

ბუკლე ბ)

ავკრიფოთ 12 თვალი. 1-ლი რიგი: 1 თვალი წალმა, 1 უკულმა, ასე...

ნაქსოვის სახე

ნიმუშისათვის ავკრიფოთ 14 თვალი. 1-ლი რიგი: 3 თვალი წალმა, 3 უკულმა, ასე...


ნაქსოვის სახე

ავკრიფოთ 17 თვალი. 1-ლი რიგი: 3 თვალი წალმა, 1 უკულმა, ასე...

ლილი ზურბაბაშვილი



სურ. № 1




სურ. № 2



სურ. № 3



სურ. № 4



სურ. № 5



ხის მსხვილი ნაჭრის სიგრძეზე ზუსტად გადაჭრა თუ განდა, ხეს ლითონის რგოლი უნდა წამოაცვა. ამ რგოლს კი ხეზე ჩამოსაცვამი პატარა კალაპოტი უნდა ჰქონდეს ამოჭრილი.

ფოტოფირების გასამუდგინებელ ავჯს ვიწრო უელი აქვს და ხსნარი ხშირად იღვრება ხოლომე. დაბრს თავი გადააქერი, ავჯს დაადგი და წვეთი ხსნარი აღარ დაგეცევა.

წებო, კბილის პასტა, ფეხსაცმლის საცხი ტუბიდან იოლად გამოიღენება, თუ საამისოდ საგანგებოდ დახვეულ მავთულს იხმარ (ზოგიერთი სახის თევზის კონსერვის გასასხნელად რომ ხმარობენ, ისეთს).

ასეთი ასაკეცი ტახტი იოლად შეიძლება გამართო აივანზე. ხის რამდენიმე პატარა ლატანი, ორიოდ მეტრი არმატურა, ერთი ფიცარი და შენი მარჯვენა ოჯახს დიდ სამსახურს გაუწევს.


ჩანთის ან ბადურის სახელურები შლანგის გადანაჭრებში გაუყარე და ხელს აღარ ჩაგჭრის.

ელექტროსანთებელას მაგნიტიანი სასხლეთი გაუკეთე (სამეურნეო მაღაზიაში იყიდება) და გაჭურაზე იქ მიამაგრე, სადაც მოგესურვება.

კიდევ ერთი რჩევა-დარიგება გოგონებს: მომხსო, ბოლოგაწეწილი ძაფი ნემსში შეიძლება ორად გაკეცილი თმის ღერის მეშვეობით გაუყარო.

თუ შინ აქანდაზი არა გაქვთ, იატაკიდან მტვრის ასაღებად შეიძლება გაკეცილი გაზეთი იხმარო. თუ გაზეთს პირი მშრალი ექნება, მტვრის პირწმინდად აიღებ.

კორპის საცობი დროთა განმავლობაში ზომაში იკლებს და თერმოსის უელს მჭიდროდ აღარ ხურავს. საცობი წყლით კარგად გაუღინთე და შემდეგ გირაგით დაწნეხე...



- ხარაზიშვილი ნ. — ის, რასაც რწმენა აღმოაცენებს (ნარკვევი)
- ახსნაზაზა ნ. — ხევისი საქმე (მოთხრობა. გაგრძელება)
- თაოარიისა ღა პრაპტიკის მტკიცე ერთიანობით („მრგვალი მაგიდა“)
- კილასონია ნ. — საჭიროა ვიოცნებოთ! (ლექსი)
- რახზიანშვილი ს. — უღრეკი რევოლუციონერი (წერილი) აისი
- სიღამონიძე ვ. — თინა წავკისელი (წერილი) კოცონი
- ახალი წიგნები
- პიპინაძე ლ. — გიგლა (მოთხრობა)
- ტყეპაშვილი ღ. — „მზე ღედაა ჩემი...“ (წერილი)
- სოტნიძე ი. — როგორ აღიზარდა მამა ხელახლა (მოთხრობა)
- ბეგვაპორი არნ. — რას ნიშნავს ეკოლოგიური წონასწორობა? (წერილი)
- ბაბოძე თ. — მამულს (ლექსი)
- მეტრეველი ბ. — საღამო მთაში; სკოლაში (ლექსები)
- ჯადოსნური ხარკე
- წურაბაშვილი ლ. — ქსოვა (წერილი)
- გამოგადგები
- ცხრაკლითული გარეკ.
- უცხოური იუმორი გარეკ.

გარეკანის 1-ლი გვერდის მხატვრობა ელშარდ აგვამაძისა

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია

სარედაქციო კოლეგია: ნუგზარ აფხაზაზა, ზურაბ გომეზა, ანთანდილ გურბენიძე, დოდო ვალაპორია, განიო ფომო, შვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ძლიბაძე, რომანო რიგაშვილი, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრანი (პ/მგ. მღერის ლიანა შაფირული, ზურაბ წვარიკაზაშვილი, ზურაბ პუშკინიძე.

საქართველოს კვ ც-ის გამოცემლობის სტამბა. 380096, ლბის ქ. № 14.

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელფონები: მთავარი რედაქტორის—93-97-05, 93-31-81, პ. მგ. მღერის—93-97-03, 93-53-05, განყოფილებების—93-97-02, 93-97-04. გადაეცა ასაწუობად 25/11-81 ხელმოწერილია დასაბეგდელ 30/11-ქალაღლის ფორმატი 60×90<sup>1</sup>/<sub>8</sub>, ფიზიკური ნაბეგდელი ფურცელი სადრიცხო-საგამომცემლო თაბახი 5,35. შეკვ. № 586. ტ 157200. ეგზ. უე 08324.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობება.

«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина для школьников. Выходит один раз в месяц на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.

Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14. Отпечатано в типографии Издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.

Формат 60×90<sup>1</sup>/<sub>8</sub>, учетно-изд. л. 4, усл. печ. л. 5,35. Тираж 157200 экз. Цена 20 коп.




თარაზულად: 5. ბერძნულ მითოლოგიაში ექალის მეფე; 6. თბილისის „დინამოს“ ყოფილი ფეხბურთელი; 9. გულის მოქმედების ნორმალური

ცვალებადი ვარსკვლავი; 20. ზეთისთვის განკუთვნილი თიხის მცირე ზომის ჭურჭელი; 24. ქალაქი რუმინეთში, 25. ციხესიმაგრე და ქალაქი თურ-

დარღვევა; 32. თანამდგომი, გულშემატკივარი, მახლობელი; 33. ოსმალეთში პრივილეგირებული ჯარი მე-14-19 საუკუნეებში; 34. წყალში გასახსნელი საღებავები.

შვეულად: 1. ზევსისა და ევროპეს ვაჟი ბერძნულ მითოლოგიაში; 2. ბალახოვანი დეკორატიული მცენარე; 3. რაიმესადმი ძლიერი მიდრეკილება; 4. ხელნაწერი პაპირუსი ან პერგამენტი; 5. ოკეანოსის ქალიშვილი ბერძნულ მითოლოგიაში; 7. ტროას ომის გმირი; 8. პირი, რომელსაც ღმერთი არ სწამს; 12. ატმოსფეროს ზედა ფენების შემსწავლელი; 13. სხვადასხვა ინსტრუმენტის დამკვრელი მუსიკოსების კოლექტივი; 14. ძილის მომგვრელი და დამამშვიდებელი წამალი; 16. ნიდერლანდელი ფერმწერი; 21. შესვენება სათეატრო წარმოდგენის ორ მოქმედებას შორის; 22. ხის პატარა გობი; 23. ქართველი პოეტი; 27. ევროპული სახელმწიფო; 28. წერილი, ბარათი ძველქართულად; 30. ბოსტნეული; 31. ზღაპრული შინაარსის მქონე იგავი.



რიტმის დარღვევა; 10. მდინარე აფრიკაში; 11. ქიმიური ელემენტი; 15. შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე ლეგენდარული მხარე; 17. ბრაზილიელი მწერალი; 18. ერთგვარი ყავისფერი კანფეტი; 19. ბნელებად-

ქეთის ტერიტორიაზე; 26. სპეციალურად მოყვანილი მწვანე მცენარის ჩახვნა ნიადაგის გასანოყიერებლად; 29. ბავშვთა დაავადება, რომლისთვისაც დამახასიათებელია ძვლებისა და ნერვული სისტემის განვითარების

ლილე და ბითქილ სალლიანები, მესტიის სკოლა-ინტერნატის VIII კლასის მოსწავლეები.



ბამოცანები

ბუჩქია. მწვანე ფოთლები ზამთარშიც არა სცივდება; კრფენ და კრფენ ნორჩ ფოთლებს, ისევ ახალი იზრდება, კილითი კიდე გაისმის მისი ქება და დიდება, მისი სახელის სათქმელად სულ სამი ბგერა გჭირდება.

ჩანჩქერში მიყვარს ნავარდი, ტანზე ზურმუხტი მაყრია; კარგად დაფიქრდით, ბავშვებო, აბა ვინ იტყვის, რა მქვია? 3. ლეშავა

პასუხები მიმდინარეულ „სხარაპანელზე“

კუბიკები

A ჯგუფის კუბიკებს შეესაბამება მე-2, მე-3, მე-5, მე-6, მე-7, მე-8, მე-10, მე-13, მე-14 და მე-15 კუბიკები, დანარჩენები კი — B ჯგუფისას.

ბამოცანები

ყინვა, ვარსკვლავები, ექო, 1961, ტრაქტორისტი — ქალია, წვიმა. შარადა ელვა.

უხსოვარი რეპორტი

— რატომ გაქვს ცხვირსახოცი განსაკუთრებული? — შეეკითხა მამა სკოლიდან შინ მოსულ შვილს. — დედიკომ გამინასკვა, წერილის გაგზავნა არ დაგავიწყდესო. — მერე რა ქენი? — რა უნდა მექნა. დედას წერილის მოცემა დაავიწყდა... — ბები, ძროხას სიმღერა შეუძლია? — ასეთ შეკითხვაზე პასუხს ვერ

გაცემ, შვილო. ნუთუ უფრო აზრიან კითხვას ვერ მოიფიქრებ? — ბები, როდის გარდაიცვალა მკვდარი ზღვა?

— კარლიჩეკ, თევზებს ახალი წყალი ჩაუსხი თუ არა? — ეკითხება დედა შვილს. — არა, დედიკო, ჭრე ძველი წყალი არ დაუღვეიათ...

— ბავშვებო, — ეკითხება მასწავლებელი მოსწავლეებს, — ერთი ძროხა დღეში ათ ლიტრ რძეს იწველის, რამდენს მოიწველის ერთი კვირის განმავლობაში?

— გააჩნია, კვირაში რამდენი სა- მუშაო დღე აქვს!

უცხოელი ეკითხება ბავშვებს: — ეს ხილი საით გამიყვანს, ბავშვებო? — მდინარის მეორე ნაპირზე, ბიძია!

— შორაკ, რა ჰქვია კაცს, რომელიც მიწის ქვეშ მუშაობს? — ეკითხება მასწავლებელი.

— მალაროელი. — სწორია. იმას რალა ჰქვია, ვინც ბაღჩაში მუშაობს?

— ჩვენი მეზობელი, პატივცემულ მასწავლებელი...

ჩეხურიდან თარგმანა ალვამო კაპულიანა

6. 1957 / 65

ეროვნული  
ბიბლიოთეკა



ლენინგორი. ლარსის სანაპირო.

ფოტო 3. პოტოტაშვილი

საქმი 76157  
ფანი 20 კვ.